ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 14 სექტემბერი 2002 №174 (1696) | ფასი 50 თეთრი


# რუსეთი შარზე და უარზეა

## ბურთი თუ ბომბი? ბუცი თუ ჩექმა?

## ვის ბიჭებთან მოგვიწევს თამაში: გაზაევის თუ პუტინის?

12 ოქტომბერს თბილისში დანიშნული ევროშესარჩევი მატჩი საქართველო — რუსეთი, შესაძლოა, ჩაიშალოს ან სხვა ქვეყანაში გაიმართოს. რუსეთის საფეხბურთო კავშირი ორ ქვეყანას შორის ბოლო დროს გამწვავებული ურთიერთობის გამო ნაკრების საქართველოში გამოშვებაზე თავს იკავებს.

ალექსანდრ ტუკმანოვი, რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალური დირექტორი: „საბოლოო გადაწყვეტილებას, ვათამაშოთ თუ არა ნაკრები 12 ოქტომბერს თბილისში, საფეხბურთო კავშირი მხოლოდ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი რეკომენდაციის შემდეგ მიიღებს."

ტუკმანოვსა და მთლიანად რუსეთის საფეხბურთო კავშირს, თურმე, საქართველოში არსებული ანტირუსული განწყობა აფრთხობთ და აქ თუ ჩამოვლენ, თავიანთ უსაფრთხოებაში დარწმუნებულნი უნდა იყვნენ: „ბოლოდროინდელ ამბებთან დაკავშირებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და რუსეთში საქართველოს ელჩს წერილი გავუგზავნეთ, თუმც ვერაფერი გავარკვიეთ. ჩვენ ქართველების პასუხმა არ დაგვაკმაყოფილა და ამიტომაც იძულებულნი ვართ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მივმართოთ. საფეხბურთო კავშირი არ არის დარწმუნებული, რომ თბილისში ჩასული რუსეთის ნაკრები უკან მშვიდობით დაბრუნდება" — თქვა ტუკმანოვმა და იქვე დასძინა, რომ ჯერ ძალიან ადრეა იმის დაკონკრეტება, თბილისში თამაშზე საბოლოო უარის თქმის შემთხვევაში როგორ იმოქმედებს საფეხბურთო კავშირი.



ტუკმანოვის ამგვარ განცხადებას ჩვენთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ეთქმის. რუსთა მიერ შესარჩევი მატჩის შესაძლო ჩაშლა-გადატანაზე ქართულ საფეხბურთო წრეებში აქამდეც არაერთხელ თქმულა, თუმც ოფიციალურ განცხადებას სხვა ფასი აქვს და რეაგირებაც შესაბამისი სჭირდება.

— ვფიქრობ, რომ ტუკმანოვი აზვიადებს. ერთგვარი ფსიქოლოგიური ფანდია. ილაპარაკებენ, ილაპარაკებენ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გაალიზიანებენ, იქით უეფას მიმართავენ მატჩის სხვა ქვეყანაში გამართვის თხოვნით... ასეთი განცხადებები, ალბათ, საქართველოს ნაკრების მოდუნებას, კონცენტრაციის გაფანტვას ემსახურება — გვითხრა ჩვენმა მოსკოველმა კოლეგამ. მანვე გაიხსენა, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირს ადრე კიევში თამაში არ სურდა, ბელგრადში კი იუგოსლავიასთან დანიშნული მატჩის გადადება მოითხოვა და უეფასგან თანხმობაც მიილო. ახლა კი საქართველო...

მაგრამ ჩანს, ფეხბურთის ფედერაცია ჯერჯერობით მაგრად დგას. გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, რომელსაც წუხელ შვეიცარიაში დავუკავშირდით, ამბობს:

— ივლისშე სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს სწორედ საქართველო — რუსეთის 12 ოქტომბრის მატჩის თაობაზე წერილით მივმართე, ვთხოვე, რომ გულშემატკივრის ინტერესის გათვალისწინებით მატჩის უსაფრთხოდ ჩატარება სახელმწიფოს უზრუნველეყო. მან ამ საქმის კონტროლი თავის მოადგილე თედო ისაკაძეს დაავალა და უკვე სამუშაო ჯგუფიც შექმნილია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კი რუსეთის საფეხბურთო კავშირს უსაფრთხოების გარანტია მისცა. რუსების ოფიციალური დელეგაციის მასპინძლები ჩვენ ვიქნებით. მათ საქართველოში არაფერი ემუქრებათ. როგორც ჩამოვლენ, ისევე გავაცილებთ. მოკლედ, უსაფრთხოების გარანტია რუსებს აქვთ. თბილისში ჩამომსვლელ გულშემატკივრებს კი თავადვე მიხედონ, ჩვენ პასუხისმგებელნი არ ვართ. ამაზე იმ ტურისტულმა ფირმებმა იფიქრონ, რომლებიც ქომაგებს საქართველო — რუსეთის მატჩზე დასწრებას სთავაზობენ. ფეხბურთის ფედერაცია მატჩის გადადების ან სხვაგან გამართვის კატეგორიული წინააღმდეგია. მატჩი 12 ოქტომბერსაა დანიშნული და იმ დღეს უნდა გაიმართოს. დანარჩენი არ მაინტერესებს — რუსების დელეგაციას უსაფრთხოების გარანტია აქვს.

აქვს კი უსაფრთხოების გარანტია საქართველოს?

**ძობა ინასარიძე**

# ХОТЯТ ЛИ РУССКИЕ ВОЙНЫ?
# ХОТЯТ, ХОТЯТ!

# შკრაინელმა ფანჯარაში აფრიკელი დაინახა

## შტელინმა ჩივაძეს ნახევარი ტორპედო ურჩია



*ამასწინათ ვწერდით, „ტორპედოს" უკრაინელმა თავკაცმა ალექსანდრ შტელინმა ჩემპიონატის მე-5 და მე-6 ტურებს შორის გაჩენილი ფანჯარა სამშობლოში სამივლინებოდ გამოიყენაო. შტელინი კიევში გახლდათ და იქიდან მალევე დაუბრუნდა გუნდს. ოთხშაბათს, მოგეხსენებათ, „სან სანიჩის" შეგირდებმა „კოლხეთი" გაანადგურეს და მწვრთნელიც ძლიერ გაახარეს.*

*ალექსანდრ შტელინს გუშინ შევხვდით საღორიას ბაზაზე და მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით*

**— „კოლხეთთან" გუნდის თამაშით კმაყოფილი იქნებით.**

— ცხადია. მეტოქემ გახსნილი თამაში შემოგვთავაზა, მაგრამ ჩვენი ძალა ვერ გათვალა. „ტორპედომ" სწრაფი, შემტევი ფეხბურთი აჩვენა. შედეგი ლოგიკური გახლდათ.

**— კიევში თქვენი გამგზავრება რასთან იყო დაკავშირებული?**

— პირადი საქმეების მოსაგვარებლად გახლდით, თუმც არ დაგიმალავთ და გეტყვით, სხვა ინტერესებიც მქონდა. კიევში ერთი ფეხბურთელი გვყავს შეგულებული და მისი თამაშის ნახვაც მსურდა.

**— ხომ ვერ გვეტყვით, ვინ არის?**

— აფრიკელია, გვინეიდან. უკრაინის ჩემპიონატის პირველლიგელ ცსკა-ში თამაშობს.

**— მისით ვინმეს რეკომენდაციით დაინტერესდით, თუ...**

— არა, ფეხბურთელი ჩვენთვის არავის შემოუთავაზებია. ალბათ, გახსოვთ, თებერვალში „ტორპედო" აშხაბადში „პრეზიდენტის თასის" გათამაშებაში მონაწილეობდა, ცსკა-ც იყო იმ ტურნირზე მიწვეული და შავკანიან ფეხბურთელს იქ დავადგით თვალი. 20 წლისაა, კარგი ფიზიკური მონაცემებით და სათამაშო აზროვნებით. კიევში ერთხელაც დავრწმუნდი მის შესაძლებლობებში.

**— ესე იგი, გვინეელის „ტორპედოში" მოყვანას აპირებთ.**

— ეს ჩვენი სურვილია და არ გამოვრიცხავ, რომ იგი მალე გამოჩნდეს „ტორპედოში". ტრანსფერი ორი კლუბის მესვეურთა შეთანხმებით უნდა განხორციელდეს. ჩვენი პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას თავის კოლეგასთან და დღე-დღეზე შეგვატყობინებს პასუხს.

**— თავად ფეხბურთელს თუ სურს ცსკა-ს დატოვება?**

— უკეთესი პირობები თუ შევუქმენით, წინააღმდეგი არ იქნება.

**— „ტორპედოში" ორი კვირაა ვარჯიშობს შოთა ჩომახიძე. ვიცით, რომ თქვენ დაინტერესდით ამ ფეხბურთელით. რატომ ყოვნდება მისი განაცხადში შეყვანა?**

— ჩომახიძე უთუოდ გააძლიერებს გუნდის ნახევარდაცვას. მის გატორპედოელებას წინ თითქმის არაფერი უდგას. სიმფეროპოლის „ტავრია", რომლის კუთვნილებაც ჩომახიძე გახლავთ, თანახმაა ფეხბურთელის უსასყიდლოდ განათხოვნებაზე. უკრაინული კლუბიდან ერთწლიანი იჯარის დამადასტურებელ საბუთს ველოდებოდით, მაგრამ რატომღაც „სამთვიანი" მივიღეთ. ყოველგვარი გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ ისევ დავუკავშირდით „ტავრიას" მესვეურთ და მათაც დაგვიდასტურეს, რომ ახალ, ჩვენთვის სასურველ საბუთს მოგვაწვდიან.

**— რატი ალექსიძის შესახებ რას გვეტყვით, მართლა მოდის „ტორპედოში" ინგლისური „ჩელსიდან"?**

— მე ჯერ არაფერი ვიცი და კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. ისე, ძლიერი ფეხბურთელის მოსვლა რომელ მწვრთნელს არ გაუხარდება.

**— ევროშესარჩევში შვეიცარია — საქართველოს მატჩზე რას იტყოდით?**

— ვნახე ამ თამაშის ტელერეპორტაჟი, მაგრამ უფლება მომეცით კომენტარისგან თავი შევიკავო.

**— მაშინ ის გვითხარით, თქვენი გუნდიდან ვინ მიგაჩნიათ ნაკრებში თამაშის ღირსად?**

— ზურაბ იონანიძე, ვფიქრობ, ამ ეტაპზე არავისზე ნაკლები არ არის. ზაზა ზირაქიშვილს, მართალია, ფორმის პიკამდე არ მიუღწევია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ერთ თვეში ისიც გამოადგება ნაკრებს. „ტორპედოს" მეკარეები ზვიად სტურუა და გრიგოლ ჭანტურიაც სხვებზე უკეთესად არიან მომზადებულნი. ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებას გივი დიდავა და ვალტერ გურუაც იმსახურებენ.

**იუზა კაციტაძე** *ქუთაისიდან*

# ჯამარაული მოწინავე მეტალურგია

## გოლიც გამოადნო და პასიც



გოჩა ჯამარაული

**ძნელია,** საქართველოს ნაკრების გაბითურების შემდეგ ქართველი ლეგიონერების ევროპაში კარგ თამაშზე წერა, თუმც ფაქტს ვერსად გავექცევით. უკრაინაში კვლავ იყოჩაღა „შინდისფერთა" ნახევარმცველმა გოჩა ჯამარაულმა. დონეცკის „მეტალურგი" სტუმრად გიგიაძე-ტრაპაიძის „ტავრიას" ხვდებოდა და მე-13 წუთზე სწორედ ჯამარაულის გოლით დაწინაურდა. ამას მალე დონეცკელთა კიდევ ერთმა ლეგიონერმა, ჩუტანგმაც დაუმატა ჩვენებურის პასით და სტუმრებმაც შინ საჭირო სამი ქულა წაიღეს, სიმფეროპოლელთაგან უკრაინელი ჟურნალისტები ვასილ გიგიაძეს გამოარჩევენ.

გიგიაძე ბომბარდირთა დავაშიც ერთ-ერთი ლიდერია. ის არსენალელ შალვა აფხაზავასთან ერთად 6 გოლით მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. გოჩა ჯამარაულს კი უკვე სამი გოლი დაუგროვდა.

გოლით გამოირჩა ზაპოროჟიელი ირაკლი მოდებაძეც. 18 წლის ქართველმა ფეხბურთელმა გადამწყვეტი გაუტანა „პოლიგრაფტეხნიკას". არადა, სტუმრები 45-ე წუთზე გატანილი ბურთით იგებდნენ და თითქოს გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ, თუმც მეტალურგებმა ორწუთიან მონაკვეთში ორჯერ შეარხიეს მეტოქის კარის ბადე, მეორე კი, როგორც გითხარით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატმა ირაკლი მოდებაძემ შეაგდო. ამით მოდებაძის გუნდმა ოდნავ ამოისუნთქა და მე-13 საფეხურზე დამკვიდრდა, თუმც ჯერაც სახიფათო ზონაშია.

**კახა ზალამბერიძე**

# კორღალიძეს· საკუთარ ფეხზე მეტად ნაკრები უფრო ეძარდება

**საკმაოდ** სერიოზული გამოდგა ლატვიური „სკონტოს" ქართველ ნახევარმცველ ლევან კორღალიძის ტრავმა. ჩვენებური დაახლოებით სამი კვირის წინ დაშავდა და მაშინ მის ტრავმას ექიმები არც ისე რთულად მიიჩნევდნენ, მაგრამ გულდასმითა გამოკვლევამ სხვა რამ ცხადყო.

— ალბათ, ერთი თვე კიდევ ვერ ვითამაშებ. მუხლი ახლაც მაწუხებს. მართალია, ოპერაცია არ დამჭირდა, მაგრამ საკმაოდ ხანგრძლივი მკურნალობაა საჭირო — გვითხრა გუშინ ლევან კორღალიძემ.

„სკონტოს" 22 წლის ქართველი შემტევი ტუნტულს ათიოდ დღეში დაიწყებს, მის გარეშე კი „სკონტო" ჩემპიონობისთვის იბრძვის, თუმც არც კონკურენტები არიან გულხელდაკრეფილნი.

— ჩემპიონატში ძალიან მძიმე თამაშები გველის. სამწუხაროა, რომ გუნდს ამ მატჩებში ვერ დავეხმარები. იმედია, საქმე კარგად იქნება და ჩემპიონები გავხდებით, თუმც ეს ძალიან ძნელი იქნება — ესეც კორღალიძის სიტყვებია.

ბოლოს ლევან კორღალიძემ საქართველოს ნაკრებზეც ჩამოგვიგდო სიტყვა და თავისი გულისტკივილი გამოთქვა: „შვეიცარიელებთან თამაშმა გული ძალიან დამწყვიტა. ნაკრებმა იმედი კი გამიცრუა, მაგრამ ამ წაგებით ყველაფერი არ დაკარგულა. მდგომარეობის გამოსწორება კიდევ შეიძლება. უბრალოდ, უფრო მეტი მონდომება და სირბილია საჭირო. ვერ ვიტყვი, რომ მარცხი ან მხოლოდ ფეხბურთელების ან მწვრთნელის ბრალია, თუმც ფაქტია, რაღაც სხით უმეტეს, რუსეთთან მატჩს წარმოუდგენლად მეტი დატვირთვა ექნება.

**კახა ზალამბერიძე**



ლევან კორღალიძე

საქართველოს ჩემპიონატი · უმაღლესი ლიგა · პირველი ეტაპი

14 · 7 ტური

თბილისი. ლოკომოტივი. 15 სექტემბერი. 17.00 საათი

**ლოკომოტივი — სიონი**

ფოთი. ფაზისი. 15 სექტემბერი. 17.00 საათი

**კოლხეთი — მერანი**

გორი. ცენტრალური. 15 სექტემბერი. 17.00 საათი

**დილა — ვიტ ჯორჯია**

ზესტაფონი. ცენტრალური. 15 სექტემბერი. 17.00 საათი

**მეტალურგი — ბათუმი**

გურჯაანი. დავით ყიფიანი. 15 სექტემბერი. 17.00 საათი

**მილანი — ტორპედო**

თბილისი. ეროვნული. 15 სექტემბერი. 17.00 საათი

**დინამო — გორდა**

# დინამო ბალახს ირემონტებს

## ივო შუშაკს დედაქალაქური მოედნების ხარისხი აინტერესებს

**გუშინწინ** ხორვატი ივო შუშაკის გაწვრთნილმა „დინამომ" ბოლნისური „სიონი" სტუმრად დაამარცხა, გუშინ კი ათგზის ჩემპიონთა თავკაცი და კლუბის დირექტორატის წევრი გივი ნოდია დედაქალაქის საფეხბურთო მოედნების დათვალიერებით იყვნენ დაკავებულნი.

„დინამოს" თავკაცებმა პირველად „ნორჩი დინამოელის" ბალახისსაფარიანი მოედნის ხარისხი შეამოწმეს. იქიდან ავლაბარში გადაინაცვლებდნენ და ასკ-ის სტადიონს შეათვალიერებდნენ, ბოლოს კი ნავთლუღში, „შევარდენის" სარბიელსაც შეავლებდნენ თვალს.

ცოტა უცნაურიც კია, კლუბს, რომელსაც საკუთარი სტადიონი და საწვრთნელი ბაზა გააჩნია, თბილისში კარდაკარ სიარული და მოედნების შეთვალიერება რაში სჭირდება? ანაც რატომ დაეძებს შუშაკი მეტ-ნაკლებად ხარისხიან სარბიელს?

საქმე არცთუ რთულადაა: ევროპელი სპეციალისტი, გუნდის უკეთ გასაწვრთნელად და შედეგთა გასაუმჯობესებლად სხვა სიკეთესთან ერთად ღლევანდელობის საკადრის საწვრთნელ მინდორს ითხოვს. ამიტომაც დიღმის ბაზის ორივე სავარჯიშო მოედანზე სულ მალე ახალი ბალახსაფარის დაგებას დაიწყებენ.

შუშაკმა ბოლნისში „თემურ სტეფანიაზე" როგორც კი ფეხი შედგა, პირველი, რაც გააკეთა, ეს იყო: არ დაიზარა და მოედანი სულ გოჯ-გოჯ შეამოწმა. იგივე გაიმეორა გუშინ, „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლაში.



ივო შუშაკი

შუშაკი, ალბთ, სამიდან უკეთეს ვარიანტს აირჩევს და ეს მალე გახდება ცნობილი, მაგრამ „დინამოს" გარდა არის ფარმ-კლუბი და „დინამო 3"-იც ქალაქში სავარჯიშო მოედანი მათთვისაც გამოინახებაო, ასე თვლიან კლუბს ხელმძღვანელები.

**გამუკა ძგანტალიანი**

### გერმანია

II ბუნდესლიგა. V ტური

ალენი 0:0 კიოლნი
ალემანია 2:0 კარლსრუე
ტრირი 3:0 დუისბურგი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა VIII ტური

ჰამბურგი (მ) 0:4 ესენი
ლევერკუზენი (მ) 5:1 ბაბელსბერგი

სამხრეთ რეგიონალლიგა X ტური

ზაარბრიუკენი 0:0 ზიგენი
შვაინფურტი 1:2 ელვერსბერგი
ჰფულინდორფი 2:3 აინტრახტი (მ)
ერფურტი 3:2 კიკერსი

### პორტუგალია

I ლიგა. III ტური

აკადემიკა 0:1 ბოავიშტა

### ბელგია

I დივიზიონი. V ტური

სტანდარდი 1:2 ბრიუგე

### ჰოლანდია

I დივიზიონი. IV ტური

ვიტესი 3:0 როზენდალი

II დივიზიონი. IV ტური

იგლსი 1:2 ვოლენდამი
ჰაარლემი 0:1 ჰელმონდი
სიტარდი 1:1 დენ ჰააგი
ეინდჰოვენი 0:3 ტელსტარი
დორდრეხტი 3:4 ჰერაკლესი
ვეენდამი 1:3 ემენი
სპარტა 1:0 მაასტრიხტი
ვენლო 1:1 ოსი

### პოლონეთი

VI ტური

ვიძევი 2:2 ლეხი

### თურქეთი

უმაღლესი დივიზიონი V ტური

გალათასარაი 2:0 ზონგულდაკსპორი

# აზრი და რეცეპტი ერთია: რადიკალიზმი

## ტყებუჩავა ნაკრების მწვრთნელობაზე თანახმაა, გეგუჩაძე არა



გია გეგუჩაძე



გოჩა ტყებუჩავა

**გია გეგუჩაძე და გოჩა ტყებუჩავა ახალგაზრდა მწვრთნელები არიან და არცთუ ხანგრძლივი სამწვრთნელო კარიერის მიუხედავად, გარკვეული მიღწევებიც აქვთ. ამიტომაც ქართულ ფეხბურთში შექმნილ ვითარებაზე მათი, ახალი თაობის მწვრთნელთა აზრიც საინტერესო უნდა იყოს**

**— ხუთი-ექვსი წლის წინ ბევრი ქართველი სპეციალისტი თუ ფეხბურთელი ამტკიცებდა, რაც დღეს ფეხბურთში გვაქვს, ხვალ ესეც აღარ გვექნება. როგორ ფიქრობთ, მათი წინასწარმეტყველება ახდა?**

**ტყებუჩავა:** საქმე ისაა, რომ ქართველები თავს რაღაც-რაღაცეებით ვიტყუებთ — გულშემატკივრებს ილუზიები არ უნდა შევუქმნათ. ფეხბურთის ფედერაციამ სიტუაცია რადიკალურად უნდა შეცვალოს. არ არის აუცილებელი, ყოველი შესარჩევი ციკლის წინ ვიძახოთ, რომ ფინალურ ეტაპზე გავალთ, თუმც საამისოდ გამუდმებით უნდა ვისაქმიანოთ.

**გეგუჩაძე:** წინ ნამდვილად არ მივდივართ, არანაირი წინსვლა არ არის. მოგეხსენებათ, საამიროებში ვმუშაობდი და როცა დაბრუნებულმა ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი და ნაკრების თამაში ვნახე, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ ყველაფერს ერთი კუთხით უნდა შევხედოთ — ფეხბურთის განვითარების სტრატეგიული გეგმაა შესაქმნელი.

ხშირად ყველაფერს ჩვენს ეკონომიკურ სიდუხჭირეს ვაბრალებთ, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ბავშვთა ფეხბურთსაც მიეხედოს და ეროვნული ჩემპიონატიც უფრო საინტერესოდ, მწვავედ ჩატარდეს. ყველაფერი ეს ერთი ჯაჭვია. ხოლო რაც შეეხება ეროვნულ გუნდს, უნდა ითქვას, რომ ნაკრების ფეხბურთელები კონკურენციას ვერ გრძნობენ.

**— ფეხბურთის ფედერაცია ბავშვთა ლიგას ატარებს და ერთი წლის წინ ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელთა ლიცენზირებაც დაიწყო...**

**გეგუჩაძე:** ეს ძალიან დიდი საქმეა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, თუ როგორ, რა პირობებში ტარდება ბავშვთა ტურნირები — ხან ჩხუბია, ხან მსაჯი არ მოდის... ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელთა კვალიფიკაციაზე ზრუნვა მართლაც კარგი საქმეა, სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ გვიან დაიწყო.

**— არსებობს შეხედულება, რომ ნიჭიერი ფეხბურთელები საქართველოში ახლა იშვიათად ჩნდებიან. სამაგალითოდ ჩვენი ასაკობრივი ნაკრებები გამოდგება — არიან იქ ისეთი ნიჭიერი ფეხბურთელები, როგორებიც თავის დროზე იყვნენ უმცროსი მიხეილ მესხი, გრიგოლ ცაავა, გია გურული, გოჩა გოგრიჭიანი, გელა კეტაშვილი?**

**ტყებუჩავა:** სამწუხაროდ, ამ თაობამ თავისი ვერ გააკეთა. სურვილი არ ჰქონდათო, ვერ ვიტყვი, მაგრამ... ქართველი გულშემატკივარი კი, მოგეხსენებათ, მაქსიმალისტია.

**გეგუჩაძე:** წარუმატებლობათა მხოლოდ ფეხბურთელებზე გადაბრალება არასწორია, კონკრეტულად ვერც მწვრთნელებს დავაბრალებთ ამას, ეს გლობალური საკითხია. წინსვლისთვის ერთადერთი გზა ფეხბურთის სწორად განვითარებაა — ყველაფერი მეთოდურად უნდა მოხდეს, მაგრამ რა მეთოდიკაზეა ლაპარაკი, როცა ჩვენი საფეხბურთო სკოლების უმრავლესობაში არანაირი მეთოდური და გეგმაზომიერი პროცესი არ მიმდინარეობს. არადა, ეს ზემოდან უნდა მოდიოდეს. საფეხბურთო სკოლებში უფრო რაოდენობაზე ფიქრობენ, ვიდრე ხარისხზე — ამ მხრივაც ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. თანაც, ეროვნული ჩემპიონატის გუნდების უდიდეს ნაწილს ფარმ-კლუბები არ ჰყავთ. აი, ათი წელიწადი ასე მოვდივართ და ყველაფერ ამისგან რაღას უნდა ველოდოთ?!

**— კონკრეტულ საკითხებზე გადავიდეთ. რატომ არ შეიძლება, რომ ნაკრებში ცენტრალურ მცველად ითამაშოს გიორგი შაშიაშვილმა, ან მარჯვენა ფლანგზე ედიკ საჯაიას ნაცვლად ლადო ბურდულმა? რატომ არ უნდა მიეცეთ შანსი ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეებს? რატომ უნდა ვხედავდეთ ნაკრების თითქმის ყველა მატჩში ერთი და იგივე ფეხბურთელებს?**

**ტყებუჩავა:** კარგად მესმის, რისი თქმაც გსურთ, მაგრამ მწვრთნელი ამ დროს ძალიან რთულ მდგომარეობაშია. ამხანაგურ მატჩებშიც იმ ფეხბურთელებს ათამაშებს, ვისიც ყველაზე უფრო ეიმედება, რადგან საპასუხისმგებლო მატჩებზე ფიქრობს. ერთი სიტყვით, რთული საკითხია, თორემ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე რამდენიმე ფეხბურთელს როგორ არ შეუძლია, ნაკრებშიც ითამაშოს. შაშიაშვილისა და ბურდულის გარდა, ალეკო ამისულაშვილიც გვყავს და კიდევ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი, თუნდაც მალხაზ ასათიანი. შვეიცარიაში მაიმუნობა ვიხილეთ — ჩვენმა ფეხბურთელებმა საქმე 20 პროცენტითაც ვერ გააკეთეს.

**გეგუჩაძე:** ეროვნულ ჩემპიონატში ნაკრებისთვის ნაღდად არის რამდენიმე კონკურენტუნარიანი ფეხბურთელი, მაგრამ ჩვენი ნაკრების შვეიცარიასთან მატჩის განალიზება, უბრალოდ, არ ღირს, რადგან კარგი იქ ვერაფერი დავინახე. საერთოდ კი, ამ ეტაპზე რადიკალური ცვლილებების მომხრე ვარ, მაგრამ ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ უნდა მუშაობდნენ. ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელი ყველა დანარჩენი ნაკრების ხელმძღვანელიც უნდა იყოს — ასეთი გახლდათ იოჰან ბოსკამპის პოზიცია და მეც ამ აზრისა ვარ. თუ ასე მივუდგებით საქმეს, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ახალგაზრდებიც სხვანაირად წარმოჩნდებიან.

**— წელან ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელთა კვალიფიკაცია ვახსენეთ, მაგრამ განა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდებს დიპლომიანი და სემინარებმოვლილი მწვრთნელები წვრთნიან? სამწვრთნელო დიპლომი არც ალექსანდრე ჩივაძეს აქვს და თქვენ თუ დათანხმდებოდით ნაკრების გაწვრთნას უდიპლომოდ და დიდი გამოცდილების გარეშე?**

**ტყებუჩავა:** დავთანხმდებოდი და გუნდში რადიკალურად შევცვლიდი სიტუაციას — ბევრს მივცემდი შანსს, ბევრს აღარ გამოვიძახებდი, თითოეული ფეხბურთელის თამაშს ვნახავდი და მხოლოდ ამის მერე მივიღებდი გადაწყვეტილებას მათი ნაკრებში გამოძახების თაობაზე.

რა თქმა უნდა, ძალიან კარგია დიპლომი და სემინარები, მაგრამ ამ სემინარებსაც ხომ ის კაცი ატარებს, ვინც ფიქრობს, ცდილობს, ახალი რამ მოიგონოს და გასწავლოს. მეც სულ ვფიქრობ, ვიდეოკასეტებს ვატრიალებ და ყველაფერს ვუკვირდები. ერთი სიტყვით, თუ არ გარისკე, არაფერი გამოვა. განა ნოდარ ახალკაცს „დინამოში" მისვლამდე დიდი მიღწევები ჰქონდა?

**გეგუჩაძე:** მე კი უარს ვიტყოდი, რადგან გია გეგუჩაძე არ არის მზად ეროვნული ნაკრების მწვრთნელობისთვის. ამას ძალიან დიდი ავტორიტეტი სჭირდება. პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მაგრამ მაინც ასე მიმაჩნია.

**— ქართული ფეხბურთის აღორძინების საუკეთესო საშუალებად ბევრს უცხოელი მწვრთნელების მოწვევა ესახება...**

**გეგუჩაძე:** მწვრთნელი უცხოელი იქნება თუ შინაური, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, გლობალურად როგორ მივუდგებით საქმეს. ჩვენში მართლაც არიან ნიჭიერი ახალგაზრდა მწვრთნელები და იმის მომხრე ვარ, რომ ეს ხალხი დაწინაურდეს. უცხოელ მწვრთნელს თავისი პლუსი აქვს — ცოდნა. მოწვეულს კი ისეთი ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელი უნდა მიამაგრო, რომელიც მას დაეხმარება და მისგან ისწავლის.

**ტყებუჩავა:** გიას აბსოლუტურად ვეთანხმები. ბოსკამპში მე ბევრი კარგი რამ დავინახე, მაგრამ მას საქმე არ დავაცალეთ. ჩვენს ახალგაზრდა მწვრთნელებს კი ხელშეწყობა, მხარში ამოდგომა სჭირდებათ.

**— ეროვნულ ნაკრებში რომ ახლავე ვუხმოთ ავტორიტეტულ უცხოელ სპეციალისტს, თქვენი აზრით, სასურველ შედეგს მივაღწევთ?**

**გეგუჩაძე:** ამან დღეს შეიძლება ეფექტი არ მოგვცეს — რაგინდ ძლიერი უცხოელი სპეციალისტი მოვიწვიოთ, ერთი ხელის მოსმით არაფერი გაკეთდება. თანაც ამ თემაზე ლაპარაკი ახლა უხერხულიცაა, რადგან ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დაკავებულია.

**ტყებუჩავა:** ასეთი ნაბიჯი მყისვე ვერ იქნება ეფექტიანი, მოკლე დროში ძალიან ძნელია სასურველი შედეგის მიღწევა.

**— რუსული ფეხბურთი რომ ჩვენსაზე საკმაოდ მაღლა დგას, ამაზე რას იტყვით?**

**გეგუჩაძე:** მათ პროფესიული საფეხბურთო ლიგის შექმნა მოახერხეს და ამან ხელი შეუწყო ფეხბურთის განვითარებას. აქ კი თბილისის „დინამო" ყველას ჯობია პირობებით, მოთამაშეთა შერჩევით და მოშზადების დონით, მაგრამ სხვა კლუბებმაც უნდა წამოიწიონ. რუსეთში კი, თუნდაც ეს ვთქვათ, როგორ შუქდება მათი ჩემპიონატი ტელევიზიით. განა ჩვენთან ხდება მსგავსი რამ?

**ტყებუჩავა:** რუსულ ფეხბურთში დიდი ფული ჩაიდო, ფულის გარეშე კი წინსვლაზე ფიქრი წარმოუდგენელია. საქართველოში ერთადერთი სოლიდური კლუბი „დინამოა", კარგი პირობებია „ტორპედოსა" და „ლოკომოტივში", მაგრამ მხოლოდ სამი გუნდით ფონს ვერ გავალთ.

**— დაბოლოს, საქართველო მაღალი კლასის ფეხბურთელებით მართლა ღარიბია, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით შეუძლებელია 12 ოქტომბერს რუსეთის ნაკრების დამარცხება?**

**ტყებუჩავა:** თუ ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები რუსეთთან მატჩისთვის ფიზიკურად მაღალ დონეზე იქნებიან მზად, მეტოქის დამარცხება რატომაც არ შეიძლება. ფეხბურთელთა მაქსიმალური მზადყოფნით ჩვენს ნაკრებს შეუძლია რამდენიმე პრინციპული მატჩის მოგება.

**გეგუჩაძე:** საკუთარი რესურსებით სრულიად შესაძლებელია რუსეთის დამარცხება — არის იმის პოტენციალი, რომ გუნდმა უკეთესად ითამაშოს და ნუ გამორიცხავთ, რომ რუსეთთან ეს შევძლოთ.

**დავით თავართქილაძე**



საქართველოს ნაკრები სხვათა ზეიმის ცქერას შეეჩვია

---

## სვეტი

# წინასწარ

რუსებს ზუსტად ერთ თვეში ვეთამაშებით, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე არ დაგვაყარეს ბომბები. მაგათი ამბავი ცნობილია, რომც დაგვაყარონ, იტყვიან, საქართველო ბომბებს გვაყრის და ჩვენს ფეხბურთელებს თბილისში ვერ ჩავუშვებთ, დაგვიზიანებენო.

რომელიღაც მაგათ დეპუტატს უკვე უთქვამს, ნეიტრალურზე უნდა გვეთამაშონო. ეს კარგი ნიშანია, ოღონდ თუ ატყდა ნეიტრალურის მოთხოვნები და სხვა ამბები, უეფაში ბრძოლა არ უნდა წავაგოთ. თუ ნეიტრალურია, ორივე თამაში ნეიტრალურზე იყოს.

თორემ, მალე რუსები ისე დასახავენ საქმეს, თითქოს, თბილისში სტადიონის ტრიბუნები ალ ქაიდას წევრონებით იყოს სავსე და ისინი რაკეტებს ესროდნენ რუს ფეხბურთელებს. რუსებს უნდა ვუთხრათ, რომ თალიბებს ფეხბურთი არ უყვართ და თბილისში სტადიონზე „კოკა კოლას" ცარიელი ბოთლის მეტი ჯერ არაფერი გადმოვარდნილა. ისიც, სტუმართა გუნდისთვის არასოდეს უსვრიათ.

თუ ეს ამბავი ატყდა, ყველაზე წაგებული გამოვა რუსთა გუნდი, იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, მათი ნაკრები მართლა გუნდს დაემსგავსა და ნაღდი ფეხბურთი ითამაშა ირლანდიის წინააღმდეგ. ეს იყო რუსების პირველი მატჩი გაზაევის ხელქვეით და მათ ყველაფერი დადეს. მათ იმდენად კარგად ითამაშეს, რომ ამიერიდან შეეცდებიან, ამაზე უარესად არ ითამაშონ. მათ კარგი სავიზიტო ბარათი გაუწოდეს თავისი ჯგუფის გუნდებს და ახლა თუ იმაზე დაიწყეს ფიქრი, რომ თბილისში ჩეჩნები ელოდებიან, ხასიათზე ვერ იქნებიან. ამიტომ, თუ ამ ერთ თვეში რუსმა პოლიტიკოსებმა ვერ გაარკვიეს, სად არის ტერორიზმის ბუდე და თუ საქართველოს ტყვია ვერ ჰკრეს (რაც ალბათ მათი აუსრულებელი ოცნებაა), ეგებ ნეიტრალური მოედნის საკითხსაც უფრო აქტიურად მიაწვნენ.

ეგ კიდევ არაფერი: შაბათს რომ საფეხბურთო საქართველო — რუსეთია დანიშნული, კვირას — სარაგბო.

დიდად აგვრია ამ პუტინმა თავისი ნაწყვეტ-ნაწყვეტა ლაპარაკებით.

ყოველივე ამის ფონზე ურიგო არ იქნება, ხელი უფრო სწორად, ფეხი ან რაც შეუძლია ის გამოიღოს საქართველოს დაშამათებულმა ნაკრებმა, რომლისთვისაც რუსეთთან თამაში უმძიმეს მორალურ გამოცდად იქცა. რაც მეტს ილაპარაკებს პუტინი და რაც მეტ ზარბაზანს დაგვალერებს, ხალხი მით უმეტეს მოსთხოვს ჩვენს ბეჩავ გუნდს, რომლის უფროსობასაც სხვა არა დარჩება რა, გარდა საბრძოლო ვითარების გამოცხადებისა.

ამიტომ, თუ გვაღირსეს, ეს მართლა თამაშია და მართლა ბრძოლაა

ძველად, ჩვენები რომ ებრძოდნენ რუსულ გუნდებს, ბომბებს მაინც არ გვაღერებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

ირაკლი გამყრელიძე

# ფიცხელი ომების ტური

| VI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლიდსი | — | მანჩესტერი |
| ვესტ ბრომვიჩი | — | საუთჰემპტონი |
| ბოლტონი | — | ლივერპული |
| ჩარლტონი | — | არსენალი |
| ჩელსი | — | ნიუკასლი |
| ევერტონი | — | მიდლსბრო |
| სანდერლენდი | — | ფულემი |
| **ხვალ** | | |
| მანჩესტერ სიტი | — | ბლეკბერნი |
| ტოტენჰემი | — | ვესტ ჰემი |
| **ზეგ** | | |
| ბირმინგემი | — | ასტონ ვილა |

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:6 | 11 |
| ტოტენჰემი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| ლიდსი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 9 |
| ლივერპული | 5 | 2 | 3 | 0 | 10:6 | 9 |
| ჩელსი | 5 | 2 | 3 | 0 | 10:8 | 9 |
| მიდლსბრო | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| მანჩესტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ფულემი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 7 |
| ასტონ ვილა | 5 | 2 | 0 | 3 | 3:3 | 6 |
| ჩარლტონი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| სიტი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 6 |
| ბოლტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | 6 |
| ბლექბერნი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ბირმინგემი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| ევერტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| საუთჰემპტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| სანდერლენდი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |
| ნიუკასლი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 4 |
| ვესტ ჰემი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | 1 |

**ამ ტურს** „ბოლტონ უონდერერზი" კარგი ხასიათითა და შემართებით ეგებება: ორი დღის წინათ სემ ალიარდისის გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედი" დაამარცხა გასვლით მატჩში. ახლა ბოლტონელები არანაკლებ გოლიათს, მთელი კვირაა მოგებაზე დამშეულ „ლივერპულს" უმასპინძლოებენ. ალიარდისის გუნდში კვლავ წინა ხაზზე იქნება „მანჩესტერის" დამშამათებელი კევინ ნოლანი, ვინც კარგად შეთამაშებულა მაიკლ რიკეტსთან და იური ჯორკაეფთან. „ლივერპულს" ეყოლება დაგეშილი ელ-ჰაჯი დიუფი და მაიკლ ოუენი, რომელმაც ექვს ტურში ერთადერთხელ და ისიც პენალტის ნიშნულიდან გაიტანა.

ლიდერი „არსენალი" „ჩარლტონს" სტუმრობს. იმ გუნდს, რომელმაც შარშან 4:2 მოუგო „ჰაიბერიზე". „ჩარლტონმა" ბევრისთვის მოულოდნელად წააგო „ასტონ ვილასთან", ამ ჯერზე კი უწვრთნელი ალან კერბიშლი ახალშეძენილი რობი ჯასტონსა და იესპერ ბლომკვისტის გამოყვანას აპირებს. ფრედერიკ ლიუნგბერგის გამოჩენა მეთოფეთა რიგებში იმ კვირიდანაა მოსალოდნელი, მცველი ლორენი კი მომჯობინებულა და შესაძლოა ძირითადშიც დადგეს.

„ჩელსი" შინ ელის „ნიუკასლს" და დიდი თამაშიცაა მოსალოდნელი. ეიდურ გუდიონსენი ვერ წაართმევს ადგილს ბრწყინვალე ფორმაში მყოფ, „ბლექბერნის" კარში ორი გოლის გამტან ჯანფრანკო ძოლას, რომელიც ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს შეუწყვილდება. ტრავმები აქვთ ალბერტ ფერერს და გრემ ლე სოს, მათი თამაში სათუოა, შინ „ლიდსთან" დამარცხებული „ნიუკასლი" კბილებს ილესავს. ამ გუნდს ყოველთვის უჭირდა დედაქალაქში თამაში, თუმცა კარგი ხასიათისთვის ისიც წაადგება, რომ კრეიგ ბელამი თითქმის მზადაა ძირითადში სათამაშოდ, რაც შოლა ამეობის დასვენებას ნიშნავს.

ბიულეტენზე მყოფი ხუთი ევერტონელი ფეხბურთელიდან ეგებ ითამაშონ ჟოზეფ იობომ და სტივ სიმონსენმა, კაპიტანი დანკან ფერგიუსონი, გარი ნეისმიტი და რიჩარდ რაიტი კვლავაც ვერ არიან სათამაშო ჯანზე. „ევერტონი" საშინაო მატჩში ეცდება ზედიზედ მესამე მარცხის არიდებას. სტუმარი კი „მიდლსბროა", რომელსაც უბრუნდება ჯორჯ ბოატენგი.

თამაშთა თამაში „ელანდ როუდზეა", სადაც „ლიდსი" „მანჩესტერს" მასპინძლობს. „ლიდსში" განწყობას ქმნიან ბოლო კვირის გმირები, ნაკრების ახალწვეულები ალან სმიტი და ლი ბოიერი, მეკარე პოლ რობინსონი კი ბრწყინვალე ფორმაშია. ფეხი მოიშუშა მცველმა დომინიკ მატეომაც. სტუმრებს არ ეყოლებათ ქირურგთა ხელში მიცემული როი კინი და პოლ სქოულზი, რაც მათ განთქმულ თავდასხმას სისხლს აკლებს, სამაგიეროდ, ეგებ დაბრუნდეს მძიმე ტრავმას თავდაღწეული გარი ნევილი.

აჭრილი „სანდერლენდი" ახალნაოპერაციევი კევინ ფილიპსის გარეშე და ტორე ანდრე ფლოსა და მარკუს სტიაურტის იმედით ხვდება მწყობრში მყოფ „ფულემს". „ვესტ ბრომვიჩი" კი ზედიზედ მესამე გამარჯვების მოპოვებას ეცდება „საუთჰემპტონთან" მატჩში, თუმც, თავისი კაპიტნის, დერეკ მაკკინესის გარეშე. სამხრეთელებს კი აუგუსტინ დელგადო არ ეყოლებათ.

ბრძოლა იქნება „მეინ როუდზეც", სადაც „მანჩესტერ სიტი" გასვლითი მატჩების მოყვარულ „ბლექბერნს" მასპინძლობს. დემიენ დაფი მანჩესტერში ვერ ჩავიდა, ენდი კოულს კი კვლავაც გასატანი აქვს ამ სეზონის პირველი გოლი.

„ტოტენჰემი" კი კვლავაც გუსტავო პოიეტის, დარენ ანდერტონის, ლედლი კინგისა და სტივენ კარის გარეშე იბრძოლებს „ვესტ ჰემის" წინააღმდეგ. კრის პერის ყბა სტკივა „ფულემთან" მატჩის შემდეგ, ძირითადში კი ეგებ გამოჩნდეს ახალწვეული რობი კინი. „ვესტ ჰემს" ჯერაც არ მოუგია ამ სეზონში, მაგრამ მწყობრში ჩამდგარი კაპიტანი პაოლო დი კანიო იმედითაა სავსე.

კვირას კი ბირმინგემში მიდლენდური დერბია: იქაური „სიტი" „ასტონ ვილას" მასპინძლობს. კლინტონ მორისონის დუბლი „ენფილდზე" სიტელთა მენეჯერ სტივ ბრიუსს იმედით ალავსებს, „ვილას" კი ახალი გმირი, ეკვადორელ ულისეს დე ლა კრუზი ჰყავს.



შარშანდელი ლიდსი — მანჩესტერი უხვგოლიანი გამოდგა, სტუმრებმა 4:3 მოიგეს

## გერმანია

ვაკო ხუციშვილი



ჰუბ სტივენსს ლუდისთვის არ სცხელა

# ბარგი შეკრული გაქვს, ჰუუბ?

| V ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კოტბუსი | — | ვერდერი |
| ნიურნბერგი | — | ბაიერნი |
| მიუნხენ 1860 | — | ვოლფსბურგი |
| არმინია | — | ჰერტა |
| გლადბახი | — | შტუტგარტი |
| ლევერკუზენი | — | ჰანოვერი |
| დორტმუნდი | — | შალკე |
| **ხვალ** | | |
| ჰამბურგი | — | ლაუტერნი |
| ბოხუმი | — | ჰანზა |

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 12:3 | 10 |
| ბოხუმი | 4 | 3 | 1 | 0 | 12:3 | 10 |
| ჰანზა | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 |
| შალკე | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| გლადბახი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| არმინია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:7 | 7 |
| დორტმუნდი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 6 |
| მიუნხენი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| ვოლფსბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| ვერდერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:8 | 6 |
| ლევერკუზენი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| კოტბუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:11 | 4 |
| ჰერტა | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | 3 |
| შტუტგარტი | 4 | 0 | 3 | 1 | 4:6 | 3 |
| ჰამბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| ნიურნბერგი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:10 | 3 |
| ლაუტერნი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |
| ჰანოვერი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:11 | 0 |

**მთავარი ამბები** დღეს დორტმუნდში, „ვესტფალენშტადიონზე" მოხდება. ჩემპიონი „ბორუსია" თასის მფლობელ „შალკეს" დაუხვდება. ბუნდესლიგაში ოთხი ტურის შემდეგ ამდენივე გუნდია წაუგებელი. „ბორუსიაც" და „შალკეც" მათ შორის არიან, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთ-ერთი დამარცხდება. მატჩი, ცხადია, შეიძლება ფრედაც დასრულდეს, ოღონდ ფრეზე მასპინძლები ყაბულს არ არიან. სებასტიან კელი მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს: „ჩვენთვის ფრე წაგების ტოლფასია. ოთხ ტურში ერთი მოგება ძალიან მეცოტავება".

„შალკემ" კი, გეხსომებათ, შუა კვირაში „შტუტგარტს" ბოლო წუთზე ქულა გამოჰგლიჯა. ჰუუბ სტევენსის წასვლის შემდეგ გელზენკირხენელებს, როგორც ჩანს, ბრძოლის ჟინი არ მოჰკლებიათ. დღეს კი მათ ტრავმების გამო ტომაშ ვალდოხი და იორგ ბიომე არ ეყოლებათ.

ჰუბ სტევენსი გელზენკირხენიდან ბერლინში, „ჰერტაში" გადაბარგდა, მაგრამ, მგონი, ბარგი ისევ შეკრული აქვს. ამის მიზეზი კი „ჰერტას" უხეირო დასაწყისია. ბოლოს შინ, გლადბახელებთან დამარცხდნენ, რასაც სტევენსის მისამართით სტვენა მოჰყვა. ჰოლანდიელმა თითი ფეხბურთელებისკენ გაიშვირა, ჩემს მითითებებს არ ასრულებენო. შედეგს გულშემატკივრები დაუყოვნებლივ ითხოვენ. საამისოდ „ჰერტამ" ბილეფელდში „არმინიას" უნდა სძლიოს. „არმინიამ", „ბაიერნთან" განადგურებაზე თვალს თუ დავხუჭავთ, საკმაოდ კარგი დებიუტი მოიწყო და, ალბათ, კისერს არც „ჰერტასთან" მოიშიშვლებს. მით უმეტეს, პირველი გამარჯვება „კაიზერსლაუტერნის" ახალ მწვრთნელ ერიკ გერეტსსაც არ დაანებეს.

თავის მხრივ გერეტსს ბედის ძიება ჰამბურგში მოუწევს, მეტოქესთან, რომელიც თავადაც დალხენილი არაა. „ჰამბურგის" არგენტინელი გამთამაშებელი რუდოლფო კარდოზო ისევ არ იქნება. კარდოზომ იმკურნალა და ვარჯიშს ახლახალა შეუდგა. პირველი გამარჯვების მაძიებელთა მარაქაშია „შტუტგარტიც". თუმცა ამ გუნდის თამაშის ხარისხი საკმაოდ მაღალია, რაც „შალკესთანაც" დამტკიცდა. შტუტგარტელთა პრობლემა ფორვარდია, რადგან შონ დანდის არყოფნა უგოლობას იწვევს. დანდი დღესაც ვერ ითამაშებს.

თავდამსხმელების დეფიციტი აქვს „შტუტგარტის" მასპინძელს, მიონხენგლადბახის „ბორუსიას". არი ვან ლენტი და ლოურენს აიდოო გუნდს კვლავ მოაკლდებიან.

შტეფან ეფენბერგი ისევ მიუნხენში დაბრუნდება, ოღონდ არა „ბაიერნში". მისი „ვოლფსბურგი" იქაურ „ლომებს", „მიუნხენ 1860"-ს სტუმრობს. დამხვდური ავსტრიელ მცველ მარტინ შტრანცლს და ჩეხ რომან ტისს მოისაკლისებს.

კოტბუსში „ვერდერი" ჩაბრძანდება. ეგებ ახლა მაინც მოახერხონ ბრემენელებმა ნავსის გატეხვა. რაც „კოტბუსი" ბუნდესლიგაში ალზევდა, „მუსიკოსებს" შინიდან უქულოდ ისტუმრებს.

ერთ-ერთ ნაბოლარას, „ნიურნბერგს" საყოველთაო რისხვა, „ბაიერნი" ეწვევა. ოტმარ ჰიცფელდის გუნდს მეპმეთ შოლი და როკე სანტა კრუზი ვერ დაეხმარებიან, თუმც ბალაკი და ძმანი მისნი, ალბათ, ისეც შეძლებენ „ნიურნბერგის" წაქცევას.

პირველი საშინაო გამარჯვებისთვისაა მომართული კლაუს ტოპმიოლერი, რომელსაც „ბოხუმი" ჯერ კიდევ კარგად ახსოვს. „ჰანოვერი" ისე მირბოდა შარშან ბუნდესლიგისკენ, რომ გადასვლისას თავპირი წაიმტვრია. იმიტომაც ზის ახლა კრუხივით ცხრილის ბოლოში. ვფიქრობთ, „ჰანოვერის" შეხრამუნება „ბაიერს" ხელეწიფება.

„ბოხუმი" როსტოკის „ჰანზას" მიიღებს და, ცხადია, მეტოქის უქულოდ გაშვებას ეცდება. როდემდე ეყოფათ ტყვია-წამალი პეტერ ნოირურერის შეგირდებს ბუნდესგზაზე მალე გამოჩნდება.

# ესპანეთი

პაპუნა კედია

| II ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მალაგა | — | რაიო ვალეკანო |
| ვალენსია | — | უელვა |
| ბილბაო | — | ბარსელონა |
| ბეტისი | — | რეალი |
| ოსასუნა | — | დეპორტივო |
| **ხვალ** | | |
| ესპანიოლი | — | სოსიედადი |
| ალავესი | — | რასინგი |
| სელტა | — | მალიორკა |
| ვალიადოლიდი | — | ვილიარეალი |
| ატლეტიკო | — | სევილია |

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ბეტისი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მალაგა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ვალიადოლიდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სელტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ოსასუნა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ალავესი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| რაიო ვალეკანო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ატლეტიკო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბარსელონა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ვილიარეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| უელვა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| სევილია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| რასინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბილბაო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| დეპორტივო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| მალიორკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ესპანიოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

**მოდი,** ვნახოთ „რეალი"– „ბეტისთან" სტუმრობა სერიოზული საქმეა და ესპანელი მიმომხილველები აქეთ-იქით ბევრ გოლს ელიან.

ეს სეზონი „რეალმა" შინ, „ესპანიოლთან" 2:0 გამარჯვებით დაიწყო, ხოლო შემდეგ თასზე, ბასკონიაში, „სან სებასტიან დე ლოს რეიესს", მეოთხე ლიგის გუნდს, 8:1 გადაუარბინა.

„ბეტისმა" ჯერ „დეპორტივოს" მოუგო ლა კორუნიაში, შემდეგ კი, იმავე თასზე, მესამე დივიზიონის „ხერესი" დაჯაბნა 3:0.

ერთი სიტყვით, დღეს საინტერესო მატჩია, რასაც ფსიქოლოგიურ ფონს ისიც უქმნის, რომ ამ გუნდების ბოლო სამ შეხვედრაში სევილიელებს თვალშისაცემი სიყოჩაღე გამოუვლენიათ. კერძოდ, ჩემპიონატში „ბეტისმა" „რეალს" შინ 3:1 მოუგო და სტუმრად 1:1 გაუხერხა, სეზონისწინა ამხანაგურ შეხვედრაში კი 2:0 აჯობა.

„ჩვენი მიზანია ისევე განვაგრძოთ, როგორც დავიწყეთ. „რეალის" წინააღმდეგ კარგად უნდა ვითამაშოთ — თქვა ბრაზილიელმა მსოფლიოს ჩემპიონმა დენილსონმა — მადრიდელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ „ბეტისი" მოედანზე მხოლოდ გამარჯვებისთვის გავა. ჩვენ „რეალს" ჩქარი სირბილით და მეტი ბრძოლისუნარიანობით ვუგებთ-ხოლმე".

და სანამ დენილსონი „რეალს" უგებს ხოლმე, „ბარსელონას" თასზე „ნოველდასთან" წაგების შემდეგ, რეაბილიტაცია სჭირდება. ვან გაალი ბილბაოში გამარჯვების მოსაპოვებლად მოედანზე აუცილებლად გაუშვებს კლუივერტს, კოკუს, ვალდესს, ლუის ენრიკეს და პუიოლს. რეაბილიტაცია, არც „ატლეტიკს" აწყენდა — მან ჩემპიონატის პირველ ტურში „სოსიედადთან" 2:4 წააგო, თუმც აიტორ კარანკა და ასიერ დელ ჰორნო დაშავებული ჰყავს და შეიძლება გაუჭირდეს.

„მალაგას" და „რაიო ვალეკანოს" წყვილში საინტერესო ის არის, რომ მადრიდელთა მეკარემ, იმანოლ ეჩებერიამ თანაგუნდელებს გამოფხიზლებისკენ მოუწოდა. მან თქვა: „ის შეხვედრა, თასზე „კულტურალ ლეონესასთან" რომ ვითამაშეთ, ჩემპიონატისა რომ ყოფილიყო, დიდი სირთულეების წინაშე აღმოვჩნდებოდით". სხვათა შორის, იმავე თასზე ვერც „მალაგამ" გაილაღა. მან მხოლოდ პენალტებით შეძლო „ესტრემადურას" დამარცხება. კიდევ „ესტრემადურასთან" შეხვედრაში „მალაგას" თავდამსხმელი დარიო სილვა გაუძევეს და ეს იმას ნიშნავს, რომ იგი „რაიოს" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

„დეპორტივო" „ოსასუნას" ესტუმრება და შეეცდება „ბეტისთან" წაგებულ 2:4-ს რამე მოუხერხოს. კიდევ ერთი წაფორხილება მწვრთნელს, ხავიერ ირურეტას შეიძლება ძვირად დაუჯდეს. თან, ნუ დაგვავიწყდება, ლა კორუნიელებს იმ კვირაში ჩემპიონთა ლიგის მატჩი ელით მიუნხენში. აღსანიშნავია, რომ „ოსასუნამ" გასულ სეზონში „დეპორტივოსთან" ვერაფერი გააწყო (1:3, 1:5), თუმცა წლეულს მოლონიერებული ჩანს.

„ვალენსიას" ტიტულის დაცვა თეორიულად კი უნდა გაუჭირდეს (შენარჩუნება ყოველთვის მოპოვებაზე ძნელია), მაგრამ ჯერჯერობით განსაკუთრებული დაძაბვა არ უწევს: პირველ ტურში „მალიორკას" 2:0 მოუგო, ახლა კი „უელვას" მასპინძლობს.

„ალავესი" „რასინგს" ხვდება, ოღონდ აბელარდოს და ლუის ელგერას ჯანმრთელობაზე ნერვიულობს. სამაგიეროდ, ჰერმეს ალდო დესიო დაუბრუნდა. „რასინგი" კი სუსტია, რაც ეს სეზონი დაიწყო, ყველაფერს აგებს და თან ებრაელები, ილან ბაჩარი და იოსი ბენაიუნი არ ეყოლება.

იქნებიან თუ არა თავდამსხმელები, ლუის გარსია და ხოსე მარი „ატლეტიკოს" შემადგენლობაში არავინ იცის, მაგრამ ბარსელონაში კარგად დაწყებულ საქმეს (2:2) კარგი გაგრძელებაც რომ სჭირდება — ფაქტია. მადრიდელთა სტუმარია „სევილია", რომელსაც მექსიკელი ნახევარმცველი ხერარდო ტორადო ექვსი კვირით დაუშავდა.

„სელტასა" და „მალიორკას" მატჩში ვიგოელებს დისკვალიფიკაციამოხდილი თავდამსხმელი დიეგო კატანია დაუბრუნდებათ, „მალიორკაში" მოთამაშე არგენტინელ ლეო ბიაჯინის კოჭი სტკივა და დაისვენებს, ხოლო „ესპანიოლი" ბასკურ „სოსიედადთან" შეხვედრაში შეეცდება ორი წაგების შემდეგ ქულა მაინც მოიპოვოს. ისე, „სოსიედადთან" მოგება იოლი არ არის, ხომ გახსოვთ, პირველ ტურში, ბასკურ დერბიში ამ გუნდმა როგორ მოუგო „ატლეტიკს" 4:2.

„ვალიადოლიდ" — „ვილიარეალზე" რაღა გითხრათ? „ვალიადოლიდმა" თასზე მესამე დივიზიონის „ერკულესთან" რომ წააგო, კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელი, ვიქტორ მუნიოსი სამსახურიდან გაუშვა და საქმე დროებით ერთ-ერთ მწვრთნელ პაკიტოს ჩააბარა.

## რეალის პირველი საშემოდგომო



წინა სეზონში „ბეტისმა" ზიდანი და „რეალი" წელში გაწყვიტა — 4 ქულა აართვეს

# ეს საწყალი ქურდღელი...
## რონალდო 5 მილიონით დაჯარიმდა




**რონალდოს** „ინტერში" არ უნდოდა? „რეალი" ამჯობინა? სულ მცირე 5 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს — ასეთი რამ განაცხადა ესპანეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში მილანური კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ.

„ეკონომიკური თვალსაზრისით, მთელი ამ დავიდარაბის გამო „ინტერი" არაფერს აგებს. რონალდოს საკუთარი ჯიბიდან 5 მილიონი დოლარი აქვს გადასახდელი, რათა სპონსორული დანახარჯი აგვინაზღაუროს, მორალური თვალსაზრისით კი ჩვენი კლუბი ამ ისტორიის მსხვერპლია, ხოლო რონალდომ ძალიან ცუდი სახელი დაიგდო — თქვა მორატიმ — დიახ, რონალდომ მსოფლიოს ჩემპიონატზე საუცხოოდ ითამაშა და გაიმარჯვა, მაგრამ „ინტერს" გასულ სეზონში არაფერი მოუგია. ერთი სიტყვით, ყველაფერი რაც მოხდა, ჩვენთვის ძნელი დასავიწყებელია".

მორატიმ „რეალთან" გაფორმებული ხელშეკრულების დეტალებზეც ილაპარაკა. მოგეხსენებათ, დეკემბერში, როდესაც ევროპაში ფეხბურთელთა ბაზარი ისევ გაიხსნება, მადრიდულმა „ინტერს" 10 მილიონი ევრო ან რომელიმე ასეთი ფასის მქონე ფეხბურთელი უნდა გადაუხადოს.

„ამ წუთას გადაწყვეტილი არ არის, რა გვინდა, ფული თუ ფეხბურთელი. დავაკვირდებით და ჩვენი გუნდის მწვრთნელი, ექტორ კუპერი თავად გადაწყვეტს" — დასძინა მორატიმ.

**ბაგუნა ძედია**



მარიო ჟარდელისა და ლადისლაუ ბოლონის ახლობლობა დასრულდა

# ვაი ცოლისგან!
## ჟარდელს სპორტინგი მოენატრება

**ცოლგაქცეული** და დეპრესირებული მარიო ჟარდელი კლუბიდანაც დაითხოვეს. „30 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ფეხბურთელმა პირველი სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა, მისი სამუშაოზე დღემდე გამოუცხადებლობა კი კლუბს უფლებას უტოვებს, მას კონტრაქტი გაუწყვიტოს" — ნათქვამია ლისაბონის „სპორტინგის" განცხადებაში. ჟარდელის ამბავი კი ასეა: მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერმოხვედრის, ცოლის გაქცევისა და დეპრესიის გადატანის შემდეგ ოქროს ბურთის მფლობელმა განაცხადა, რომ უფრო ძლიერ ესპანურ ლიგაში უნდოდა თამაში, საბოლოოდ კი ყველაფერი მისი „სპორტინგთან" კონტრაქტის შეწყვეტით დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ჟარდელის მსურველი სევილიური „ბეტისი" ლისაბონურმა კლუბმა უარით გაისტუმრა შეთავაზებული თანხის სიმცირის გამო.



☎ (231) 7 17 58

# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "ოლიმპოსთან"

# საერთოზრაზილიური აშლილობა



ფლამენგო — ატლეტიკო პარანენსე. მსოფლიოს ჩემპიონის კლებერსონის (მარჯვნივ) გოლით გამოწვეული სიხარული სტუმართათვის ნაადრევი აღმოჩნდა

## ბრაზილია

**IX-X ტური:** ფლამენგო — ატლეტიკო პარანენსე 3:2; პორტუგეზა — სან კაეტანო 3:2; ინტერნასიონალი — პალმეირასი 3:2; კურიტიბა — სანტოსი 4:2; ბაია — გრემიო 1:1; პონტე პრეტა — პარანა 1:0; ფიგეირენსე — ვიტორია 0:2; პაისანდუ — ვასკუ და გამა 2:0; ბოტაფოგო — ჟუვენტუდე 0:4; კორინთიანსი — გოიასი 3:0; კრუზეირო — გუარანი 0:2; გამა — ფლუმინენსე 1:2

**მძიმე გამოდგა** 12 სექტემბრის საღამო ბრაზილიელი მსაჯებისთვის, რომელთა შეცდომებმაც რამდენიმე მატჩის ბედი გადაწყვიტეს საერთობრაზილიური პირველობის ვისთვის მერვე, ვისთვის მეცხრე და ვისთვისაც მეათე ტურში.

„პაისანდუმ" 2:0 მოუგო „ვასკუ და გამას", ისე, რომ ბურთს ვასკუელთა კარის ხაზი არ გადაუკვეთავს. „ფლამენგომ" 3:2 სძლია შარშანდელ ჩემპიონ „ატლეტიკო პარანენსეს" არარსებული პენალტით, „პორტუგეზა" — „სან კაეტანოს" (3:2) მატჩში კი ოთხი ფეხბურთელი გააძევეს.

ბოლო ხუთ წელიწადში ორგზის ჩემპიონ „ვასკუს" ცხრა თამაშიდან ექვსი წაგება აქვს და ცხრილში 21-ე ადგილზეა. კლუბის გენერალური მენეჯერი ისაიას ტინიკო მორიგ მარცხს გვერდით მსაჯს აბრალებს. ვასკუელთა მეკარე ფაბიოს უხეიროდ მოუგერიებია შორიდან დარტყმული ბურთი, მაგრამ მეორე ნახტომით, კარის ხაზზე დაუჭერია მას, თუმცა გვერდით მსაჯს აუჩემებია, ბურთი ხაზს იქეთ დაიჭირაო.

ვასკუელებს მსაჯ ებერ რობერტოსთვის დაუცხიათ, პაისადუელები შუაში ჩამდგარან და მთელს ამ ამბავში გაძევებული კვლავ ვასკუელი ელი ტადეუ აღმოჩენილა.

ერთი ამბავი შეიქნა „ფლამენგო" — „ატლეტიკოს" მატჩში. კლებერსონმა ადრევე დააწინაურა პარანელი სტუმრები, თუმცა ლეიდსონის დუბლმა „მენგოს" ხალხი გაახარა. ამას მოჰყვა კლებერის გამათანაბრებელი და მოგონილი პენალტი, რომლითაც ირანილდომ ათ თამაშში მესამე მოგება მოუტანა ბრაზილიის ყველაზე პოპულარულ კლუბს.

„სან კაეტანოს" სამი ფეხბურთელი გაუძევეს „პორტუგეზასთან" 2:3-ზე წაგებულ მატჩში: ჯერ მცველი ფაბიო სანტოსი იდაყვის მოქნევისთვის, მერე სერჟინი — უხეშობისთვის და მერე თავდამსხმელი ადემარი მეორე ყვითლით. ამათ მიჰყვა პორტუგეზელი რიკარდუ ოლივეირაც, თამაში კი წიხლაობად იქცა. „პორტუგეზა" 3:0 იგებდა პირველი ტაიმის შემდეგ ელსონ არუჟოსა (2) და ალეშანდრე გაუშუს გოლებით, მაგრამ ადემარმა ჯერ ასევე საეჭვო პენალტი გაიტანა, მერე კი კიდევ ერთი გოლი, თუმცა მერე თავადაც დატოვა მინდორი.

„კურიტიბამ" ბოლო წლის მანძილზე პირველი გასვლითი მატჩი მოიგო და თან უცნაურად: „სანტოსთან" 1:2-ს აგებდა და ოთხ წუთში გაუტანა სამი გოლი.

კვლავ წააგო „პალმეირასმა", ამჯერად 2:3 „ინტერნასიონალთან".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟუვენტუდე | 9 | 7 | 1 | 1 | 14:4 | 22 |
| ატლ. მინეირო | 9 | 5 | 3 | 1 | 17:7 | 18 |
| ატლ. პარანენსე | 9 | 5 | 2 | 2 | 18:9 | 17 |
| გუარანი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:9 | 17 |
| კურიტიბა | 9 | 5 | 1 | 3 | 14:11 | 16 |
| სან პაულუ | 9 | 5 | 1 | 3 | 14:12 | 16 |
| კორინთიანსი | 9 | 5 | 1 | 3 | 12:15 | 16 |
| ინტერნასიონალი | 10 | 4 | 4 | 2 | 17:13 | 16 |
| სან კაეტანო | 8 | 5 | 0 | 3 | 16:9 | 15 |
| პორტუგეზა | 9 | 4 | 3 | 2 | 8:8 | 15 |
| ვიტორია | 10 | 4 | 2 | 4 | 16:12 | 14 |
| სანტოსი | 9 | 4 | 2 | 3 | 16:14 | 14 |
| ფლუმინენსე | 10 | 4 | 2 | 4 | 18:19 | 14 |
| ფლამენგო | 10 | 3 | 3 | 4 | 16:16 | 12 |
| პონტე პრეტა | 9 | 3 | 2 | 4 | 6:6 | 11 |
| გამა | 10 | 3 | 2 | 5 | 8:10 | 11 |
| გრემიო | 9 | 2 | 4 | 3 | 11:12 | 10 |
| ბოტაფოგო | 9 | 2 | 4 | 3 | 10:13 | 10 |
| კრუზეირო | 9 | 2 | 4 | 3 | 9:14 | 10 |
| პარანა | 8 | 3 | 0 | 5 | 15:12 | 9 |
| ვასკუ და გამა | 9 | 3 | 0 | 6 | 11:13 | 9 |
| ბაია | 9 | 2 | 2 | 5 | 10:16 | 8 |
| პალმეირასი | 9 | 1 | 4 | 4 | 12:21 | 7 |
| პაისანდუ | 7 | 2 | 0 | 5 | 8:15 | 6 |
| გოიასი | 9 | 1 | 3 | 4 | 11:20 | 6 |
| ფიგეირენსე | 8 | 1 | 2 | 5 | 5:15 | 5 |

## ფეხბურთის რეპორტაჟის ბიბლიოთეკა



**რუსეთის** ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" გამთამაშებელ ეგორ ტიტოვს რუსეთის ჩემპიონატის ოცდამეხუთე ტურის ცენტრალურ მატჩში „ლოკომოტივთან" ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. შეხვედრის 39-ე წუთზე მან, ისე რომ არავინ შეხებია, მოედნის ცენტრში წაიქცა. „მუხლებმა" ჩემს წონას ვერ გაუძლეს, იგივე ტრავმის რეციდივია, რომელიც ავადმოსაგონარ მატჩში „ანჟისთან" მივიღე. ახლა გუნდთან ერთად ბაზელში გავფრინდები, ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მატჩს დავესწრები, შემდეგ კი ლევერკუზენში ოპერაციას გავიკეთებ, რაც შეეხება ჩემს დაბრუნებას, ამას ოპერაციის შემდგომი დღეები გვიჩვენებს" — განუცხადა დალონებულმა ტიტოვმა მასმედიას.

**მაროკოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი აიტ ლარიკ აბდელჰაკი, რომელიც „რაჯა კასაბლანკას" ღირსებას იცავს, უკრაინაში შესვლის უფლებას ელის, რათა კიევის „დინამოს" თავი მოაწონოს და თუ ამას შეძლებს, კონტრაქტიც გააფორმოს. აბდელჰაკი ახლა 19 წლისაა.**

**იტალიური** „მილანის" არგენტინელმა მცველმა ხოსე ანტონიო შამოტმა „პარმას" შეთავაზება, ლურჯ-ყვითლებში გადასულიყო, იუარა. „მე კვლავ „სან სიროზე" დარჩენა მწადია. მართალია ძნელია ისეთ მწვრთნელს, როგორიც არიგო საკია, უარი უთხრა, მაგრამ მე ჯერ არ ამომიწურავს ჩემი შესაძლებლობები „მილანში" — განაცხადა არგენტინელმა.

**რუმინელი თავდამსხმელი ადრიან მუტუ, რომელმაც ამ ზაფხულს სერია A-დან გავარდნილი „ვერონადან" „პარმას" მიაშურა, აცხადებს, რომ „პარმას" ოცნომრიანი მაისურა მას ბევრს ავალდებულებს. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ ნომრიანი მაისურით წლების განმავლობაში პარმელ გულშემატკივართა ჯილა მარკო დი ვაიო გამოდიოდა, რომელიც „იუვენტუსმა" გადაიბირა. „მე წინა სეზონში „ვერონას" შემადგენლობაში თორმეტი გოლი გავიტანე. წლეულს ორმაგის გატანას ვგეგმავ" — დასძინა რუმინელმა.**

**ბრაზილიური** „ფლამენგოს" ახალდანიშნული მწვრთნელის ევარისტო დე მაჩადუს პირველი შენაძენი რობერტო პაულო რინკია. 29 წლის ფეხბურთელი 1997 წლიდან ლევერკუზენის „ბაიერის" ღირსებას იცავდა, მერე „კაიზერსლაუტერნის", შარშან კი „ნიურნბერგში" იყო. რინკი ორმაგი მოქალაქის პასპორტს ფლობს, ბრაზილიურს და გერმანულს. რაც შეეხება კონტრაქტს, თუ რინკი გუნდის მესვეურებს თავს მოაწონებს, მას 2003 წლის დეკემბრამდე დაიტოვებენ.

**ეკვადორული ფეხბურთის მესაჭეებმა ამ ქვეყნის ნაკრების სათავეში ერნან დარიო გომესი დატოვეს. იმ ფაქტს, რომ ეკვადორელებმა მუნდიალზე ჯგუფიდან ვერ გააღწიეს, გულისწყრომა არ გამოუწვევია და დარიო გომესს 2006 წელს გერმანიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდის გაყვანა მოსთხოვეს. ახალი კონტრაქტის ფინანსური მხარე არ გაცხადებულა, თუმც იქაური პრესა ვარაუდობს, რომ მწვრთნელს თვეში 21 ათას დოლარს შეაძლევენ.**

**იტალიური** „იუვენტუსის" ვიცე-პრეზიდენტმა ლუჩანო მოჯიმ დაადასტურა, რომ ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი ტურინში რჩება. „რომაელებმა დავიდსი იაფად შეაფასეს, ისეთი ფეხბურთელი, როგორიც იგია, 11 მილიონი ნამდვილად არ ღირს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ედგარი ჩვენთან რჩება". ხოლო კითხვაზე, დავიდსის ტრანსფერის ჩაშლა რომაული კლუბის ფინანსური სიდუხჭირის მიზეზით ხომ არ არისო, მან უპასუხა, „მაშინ „რომამ" ტოტი და სამუელი დაგვითმოს და დავიდსაც სიამოვნებით გავატანთ".

**ესპანური პრიმერადივიზიონის კლუბ „სევილიას" მექსიკელი ნახევარმცველი ხერარდო ტორადო „ხაენთან" სათასო მატჩში დაშავდა. მექსიკელმა ფეხი მოიტეხა და კლუბს ორი თვე გამოაკლდება. ანდალუზიელებმა კი კლასით დაბალ „ხაენს" 3:0 მოუგეს.**

## შვედეთი

XIX ტური

**აიკ 2:1 კალმარი**
**სუნდსვალი 1:0 ელფსბორგი**
**ლანდსკრონა 0:1 ნორჩიოპინგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 19 | 11 | 2 | 6 | 40:26 | 35 |
| იორგრიტე | 19 | 9 | 8 | 2 | 38:26 | 35 |
| იურგორდენი | 19 | 10 | 4 | 5 | 33:23 | 34 |
| ჰელსინგბორგი | 19 | 8 | 5 | 6 | 30:28 | 29 |
| ლანდსკრონა | 19 | 8 | 4 | 7 | 35:27 | 28 |
| აიკ | 19 | 6 | 8 | 5 | 27:27 | 26 |
| სუნდსვალი | 19 | 6 | 8 | 5 | 21:22 | 26 |
| იორებრო | 19 | 7 | 5 | 7 | 22:29 | 26 |
| ელფსბორგი | 19 | 6 | 5 | 8 | 20:24 | 23 |
| ჰამარბი | 19 | 5 | 7 | 7 | 31:32 | 22 |
| ჰალმსტადი | 19 | 4 | 9 | 6 | 20:22 | 21 |
| გიოტებორგი | 19 | 6 | 3 | 10 | 19:30 | 21 |
| ნორჩიოპინგი | 19 | 4 | 7 | 8 | 22:24 | 19 |
| კალმარი | 19 | 3 | 5 | 11 | 12:30 | 14 |

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი. VII ტური

**ლორიანი 1:0 ნიორი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე მანი | 7 | 6 | 0 | 1 | 13:7 | 18 |
| ბოვე | 7 | 4 | 1 | 2 | 6:3 | 13 |
| ტულუზი | 7 | 4 | 0 | 3 | 11:5 | 12 |
| ვალანსი | 7 | 4 | 0 | 3 | 10:8 | 12 |
| შატორუ | 7 | 4 | 0 | 3 | 7:10 | 12 |
| ლორიანი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:9 | 11 |
| ვასკეალი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | 11 |
| ლავალი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| მეცი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:6 | 11 |
| კაენი | 7 | 2 | 4 | 1 | 10:7 | 10 |
| კრეტეი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:9 | 10 |
| გრენობლი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:6 | 9 |
| სენტ ეტიენი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:4 | 8 |
| ნიორი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:7 | 8 |
| კლერმონი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | 8 |
| ისტრი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:12 | 8 |
| ამიენი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:7 | 7 |
| ნანსი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | 7 |
| რეიმსი | 7 | 0 | 5 | 2 | 4:7 | 5 |
| გენიონი | 7 | 0 | 1 | 6 | 4:14 | 1 |


24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186



სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# იტალია. სერია A 2002–2003

# ჭამეთ ბევრი მარილი





იტალიამ რონალდო დაკარგა და რივალდო შეიძინა

| 19.00 | 373 | სტერლინგი-მორტონი | 2,4 | 3,3 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| | | **დანია. VIII ტური** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 384 | ფარუმი-კოგე | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 385 | ოლბორგი-ხელსინგორი | 1,6 | 3,4 | 4,4 | 1,05 | 1,15 | 1,9 |
| 18.00 | 386 | მიდტიულანდი-ორჰუსი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| 18.00 | 387 | კოპენჰაგენი-აკადემისკი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2,05 |
| 18.00 | 388 | ვიბორგი-ესბიერგი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 20.35 | 389 | ბრონდბიუ-ოდენსე | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,75 |
| | | **ავსტრია. X ტური** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 400 | ბრეგენცი-ზალცბურგი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 18.30 | 401 | შტურმი-კერნტენი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 18.30 | 402 | ადმირა-გრაცერი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 20.15 | 403 | ავსტრია-პაშინგი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 2 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 404 | რიდი-რაპიდი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **შვეიცარია. "A" ჯგუფი. XII ტური** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.45 | 413 | ვილი-გრასჰოპერი | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2 | 1,2 | 1,05 |
| 20.30 | 414 | თუნი-ქსამაქსი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,7 |
| 22.30 | 415 | ციურიხი-სტ. გალენი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,75 |
| 22.30 | 416 | ბაზელი-აარაუ | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | 417 | ბაზელი-აარაუ 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 22.30 | 418 | ლუცერნი-იანგ ბოისი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,5 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.15 | 419 | სერვეტი-დელემონი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1 | 1,2 | 2,2 |
| | | **შვეიცარია. "B" ჯგუფი. XII ტური** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 427 | ლოზანა-კრიენსი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,1 | 1,25 | 1,75 |
| 20.30 | 428 | ვინტერთური-სიონი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| 20.30 | 429 | ვოლენი-ბელინცონა | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| 22.30 | 430 | ლუგანო-ბადენი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | 431 | ლუგანო-ბადენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 22.30 | 432 | შაფჰაუზენი-იივერდონი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.15 | 433 | ვადუცი-კონკორდია | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. XX ტური** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 451 | ჰამარბი-ორგრიტე | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 452 | აიკ-ჰალმსტადი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 20.00 | 453 | მალმიო-გეტებორგი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| 22.00 | 454 | ჰელსინგბორგი-ატვიდაბერგი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 455 | ნორჩეპინგი-ელფსბორგი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,5 |
| 22.00 | 456 | კალმარი-ლანდსკრუნა | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 22.00 | 457 | ორებრო-სუნდსვალი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,05 | 1,25 | 1,95 |
| | | **ნორვეგია. XXII ტური** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 463 | როზენბორგი-ვოლერენგა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | 464 | როზენბორგი-ვოლერენგა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 465 | ლილესტრომი-ბოდო გლიმტი | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 |
| 19.00 | 466 | ლინი-სტაბეკი | 2,1 | 3,4 | 3,0 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| 19.00 | 467 | მოლდე-სტარტი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1 | 4,65 |
| | 468 | მოლდე-სტარტი 0:1 | 1,25 | 4,0 | 4,7 | | | |
| 19.00 | 469 | მოსი-ბრინი | 2,2 | 3,4 | 2,8 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 19.00 | 470 | ვიკინგი-სოგნდალი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1 | 1,1 | 2,45 |
| | 471 | ვიკინგი-სოგნდალი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 472 | ოდ გრენლანდი-ბრანი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| | | **ფინეთი. პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 473 | მიპა-ლაჰტი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 474 | ჰაკა-ტამპერე | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 20.30 | 475 | ალიანსი-ინტერი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,5 |
| 20.30 | 476 | ჰიკ-იარო | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| | 477 | ჰიკ-იარო 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| | | **ფინეთი. პლეი-აუტი** | | | | | | |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 478 | ტპ 47-ვაასა | 2,7 | 3,3 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,35 |
| 20.30 | 479 | კუოპიო-იოკერიტი | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 |
| 20.30 | 480 | კტპ-ჯაზი | 2,1 | 3,4 | 3,0 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| 20.30 | 481 | ჰამეენლინა-ტურკუ | 2,0 | 3,3 | 3,1 | 1,2 | 1,2 | 1,5 |
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 2020 | კოტბუსი-ვერდერი | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,2 | 1,5 | 1,25 |
| 18.30 | 2021 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 6,0 | 2,2 | 2,0 | 1,6 | 1,5 | 1 |
| 18.30 | 2022 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,1 | 1,5 | 1,3 |
| 18.30 | 2023 | არმინია-ჰერტა | 3,0 | 2,2 | 3,0 | 1,25 | 1,5 | 1,25 |
| 18.30 | 2024 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 2,5 | 2,2 | 3,5 | 1,15 | 1,45 | 1,3 |
| 18.30 | 2025 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1,4 | 3,1 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,2 |
| 18.30 | 2026 | დორტმუნდი-შალკე | 2,3 | 2,2 | 4,2 | 1,1 | 1,45 | 1,4 |
| 16.00 | 2027 | ლიდსი-მანჩესტერი | 3,2 | 2,1 | 2,8 | 1,25 | 1,45 | 1,1 |
| 19.00 | 2028 | ბოლტონი-ლივერპული | 5,3 | 2,2 | 2,1 | 1,5 | 1,5 | 1,05 |
| 19.00 | 2029 | ჩარლტონი-არსენალი | 5,3 | 2,2 | 2,1 | 1,5 | 1,5 | 1,05 |
| 19.00 | 2030 | ჩელსი-ნიუკასლი | 2,4 | 2,1 | 4,0 | 1,1 | 1,5 | 1,35 |
| 19.00 | 2031 | ევერტონი-მიდლსბრო | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,15 | 1,5 | 1,3 |
| 19.00 | 2032 | სანდერლენდი-ფულემი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,15 | 1,5 | 1,3 |
| 19.00 | 2033 | ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,15 | 1,5 | 1,3 |
| 18.00 | 2034 | ბოლონია-რომა | 3,4 | 2,0 | 3,0 | 1,25 | 1,55 | 1,2 |
| 18.00 | 2035 | ინტერი-ტორინო | 1,5 | 3,0 | 7,5 | 1 | 1,2 | 2,1 |
| 21.00 | 2036 | კომო-ემპოლი | 2,6 | 2,0 | 4,0 | 1,1 | 1,55 | 1,3 |
| 23.30 | 2037 | მოდენა-მილანი | 5,3 | 2,1 | 2,2 | 1,5 | 1,5 | 1,05 |
| 00.30 | 2038 | ბილბაო-ბარსელონა | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,2 | 1,5 | 1,1 |
| 23.30 | 2050 | ოსასუნა-დეპორტივო | 3,8 | 2,1 | 2,5 | 1,3 | 1,5 | 1,1 |
| 00.30 | 2051 | ვალენსია-უელვა | 1,4 | 3,3 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 22.00 | 2052 | მალაგა-რაიო | 2,2 | 2,1 | 5,3 | 1,05 | 1,5 | 1,5 |
| 00.30 | 2053 | ბეტისი-რეალი | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,3 | 1,5 | 1,15 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 2039 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,4 | 2,2 | 3,8 | 1,1 | 1,45 | 1,35 |
| 20.30 | 2040 | ბოხუმი-ჰანზა | 2,4 | 2,2 | 3,8 | 1,1 | 1,45 | 1,35 |
| 18.00 | 2041 | სიტი-ბლეკბერნი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,1 | 1,5 | 1,3 |
| 20.05 | 2042 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 2,0 | 2,3 | 5,3 | 1,05 | 1,4 | 1,6 |
| 18.00 | 2043 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,45 | 3,0 | 9,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 18.00 | 2044 | ლაციო-კიევო | 2,0 | 2,2 | 6,0 | 1 | 1,5 | 1,6 |
| 18.00 | 2045 | უდინეზე-პარმა | 2,9 | 2,0 | 3,5 | 1,15 | 1,55 | 1,25 |
| 21.00 | 2046 | პერუჯა-რეჯინა | 2,2 | 2,0 | 6,0 | 1 | 1,6 | 1,5 |
| 23.30 | 2047 | ბრეშა-პიაჩენცა | 2,4 | 2,0 | 4,7 | 1,05 | 1,55 | 1,4 |
| 22.00 | 2048 | სელტა-მაიორკა | 2,0 | 2,2 | 6,0 | 1 | 1,5 | 1,6 |
| 21.00 | 2049 | ესპანიოლი-სოსიედადი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,1 | 1,5 | 1,3 |
| 21.00 | 2054 | ალავესი-რასინგი | 2,0 | 2,2 | 6,0 | 1 | 1,5 | 1,6 |
| 23.00 | 2055 | ვალიადოლიდი-ვილარეალი | 2,3 | 2,1 | 4,7 | 1 | 1,5 | 1,4 |
| 23.30 | 2056 | ატლეტიკო-სევილია | 2,1 | 2,1 | 6,0 | 1 | 1,55 | 1,55 |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 2057 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,2 | 3,0 | 1,25 | 1,5 | 1,25 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 14 სექტემბერი | | |
| 18.30 | 2220 | კოტბუსი-ვერდერი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2221 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2222 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2223 | არმინია-ჰერტა | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2224 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1,85 | 1,75 |
| 18.30 | 2225 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 2,2 | 1,5 |
| 18.30 | 2226 | დორტმუნდი-შალკე | 1,85 | 1,75 |
| 16.00 | 2227 | ლიდსი-მანჩესტერი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2228 | ბოლტონი-ლივერპული | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2229 | ჩარლტონი-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2230 | ჩელსი-ნიუკასლი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2231 | ევერტონი-მიდლსბრო | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2232 | სანდერლენდი-ფულემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2233 | ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2234 | ბოლონია-რომა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2235 | ინტერი-ტორინო | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2236 | კომო-ემპოლი | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2237 | მოდენა-მილანი | 1,9 | 1,7 |
| 00.30 | 2238 | ბილბაო-ბარსელონა | 1,95 | 1,65 |
| 23.30 | 2250 | ოსასუნა-დეპორტივო | 1,9 | 1,7 |
| 00.30 | 2251 | ვალენსია-უელვა | 1,95 | 1,65 |
| 22.00 | 2252 | მალაგა-რაიო | 1,85 | 1,75 |
| 00.30 | 2253 | ბეტისი-რეალი | 1,9 | 1,7 |
| | | 15 სექტემბერი | | |
| 20.30 | 2239 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 2240 | ბოხუმი-ჰანზა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2241 | სიტი-ბლეკბერნი | 1,8 | 1,8 |
| 20.05 | 2242 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2243 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2244 | ლაციო-კიევო | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2245 | უდინეზე-პარმა | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2246 | პერუჯა-რეჯინა | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2247 | ბრეშა-პიაჩენცა | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2248 | სელტა-მალიორკა | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 2249 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 2254 | ალავესი-რასინგი | 1,85 | 1,75 |
| 23.00 | 2255 | ვალიადოლიდი-ვილიარეალი | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2256 | ატლეტიკო-სევილია | 1,9 | 1,7 |
| | | 16 სექტემბერი | | |
| 24.00 | 2257 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**14.09 18.30 2604**
გერმანია ბლ. (V ტური)

| | |
|---|---|
| 25 ან ნაკლები | 1,9 |
| 27 ან მეტი | 1,9 |

**14.09 16.00 2605**
ინგლისი პლ. (VI ტური)

| | |
|---|---|
| 25 ან ნაკლები | 1,9 |
| 27 ან მეტი | 1,9 |

**14.09 18.00 2606**
იტალია A (II ტური)

| | |
|---|---|
| 23 ან ნაკლები | 1,9 |
| 25 ან მეტი | 1,9 |

**14.09 22.00 2607**
ესპანეთი Iდ. (II ტური)

| | |
|---|---|
| 26 ან ნაკლები | 1,9 |
| 28 ან მეტი | 1,9 |

**14.09 20.15 2608**
საფრანგეთი Iდ. (VII ტური)

| | |
|---|---|
| 22 ან ნაკლები | 1,9 |
| 24 ან მეტი | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 სექტემბერი | | | | | | | | | |
| 18.30 | 2120 | კოტბუსი-ვერდერი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.30 | 2121 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 5,0 | 3,3 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 18.30 | 2122 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.30 | 2123 | არმინია-ჰერტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 2124 | მ.გლადბახი-შტუტგარტი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.30 | 2125 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,0 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 30,0 | 15,0 |
| 18.30 | 2126 | დორტმუნდი-შალკე | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 16.00 | 2127 | ლიდსი-მანჩესტერი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 2128 | ბოლტონი-ლივერპული | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,7 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 19.00 | 2129 | ჩარლტონი-არსენალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,7 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 19.00 | 2130 | ჩელსი-ნიუკასლი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 2131 | ევერტონი-მიდლსბრო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 19.00 | 2132 | სანდერლენდი-ფულემი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 19.00 | 2133 | ვესტ ბრომვ.-საუთჰემპ. | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 18.00 | 2134 | ბოლონია-რომა | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.00 | 2135 | ინტერი-ტორინო | 1,6 | 20,0 | 40,0 | 3,0 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 21.00 | 2136 | კომო-ემპოლი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.30 | 2137 | მოდენა-მილანი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,7 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 00.30 | 2138 | ბილბაო-ბარსელონა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 23.30 | 2150 | ოსასუნა-დეპორტივო | 4,7 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 00.30 | 2151 | ვალენსია-უელვა | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 22.00 | 2152 | მალაგა-რაიო | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 00.30 | 2153 | ბეტისი-რეალი | 4,7 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | | | | |
| 20.30 | 2139 | ჰამბურგი-კ.ლაუტერნი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 20.30 | 2140 | ბოხუმი-ჰანზა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 2141 | სიტი-ბლეკბერნი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.05 | 2142 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 2,3 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.00 | 2143 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,0 | 5,3 | 18,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 2144 | ლაციო-კიევო | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,1 | 4,4 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 2145 | უდინეზე-პარმა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 21.00 | 2146 | პერუჯა-რეჯინა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 23.30 | 2147 | ბრეშა-პიაჩენცა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 22.00 | 2148 | სელტა-მალიორკა | 2,2 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 21.00 | 2149 | ესპანიოლი-სოსიედადი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 21.00 | 2154 | ალავესი-რასინგი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.00 | 2155 | ვალიად.-ვილიარეალი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.30 | 2156 | ატლეტიკო-სევილია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| | | 16 სექტემბერი | | | | | | | | | |
| 24.00 | 2157 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თან. | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 14 სექტემბერი | | | |
| 18.30 | 2520 | კოტბუსი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2521 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2522 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2523 | არმინია-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2524 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2525 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2526 | დორტმუნდი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.00 | 2527 | ლიდსი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2528 | ბოლტონი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2529 | ჩარლტონი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2530 | ჩელსი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2531 | ევერტონი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2532 | სანდერლენდი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2533 | ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2534 | ბოლონია-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2535 | ინტერი-ტორინო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2536 | კომო-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2537 | მოდენა-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2538 | ბილბაო-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2550 | ოსასუნა-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2551 | ვალენსია-უელვა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2552 | მალაგა-რაიო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2553 | ბეტისი-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 15 სექტემბერი | | | |
| 20.30 | 2539 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2540 | ბოხუმი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2541 | სიტი-ბლეკბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.05 | 2542 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2543 | იუვენტუსი-ატალანტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2544 | ლაციო-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2545 | უდინეზე-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2546 | პერუჯა-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2547 | ბრეშა-პიაჩენცა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2548 | სელტა-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2549 | ესპანიოლი-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2554 | ალავესი-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2555 | ვალიადოლიდი-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2556 | ატლეტიკო-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 16 სექტემბერი | | | |
| 24.00 | 2557 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 14 სექტემბერი | | |
| 18.30 | 2320 | კოტბუსი-ვერდერი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2321 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2322 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2323 | არმინია-ჰერტა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2324 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2325 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2326 | დორტმუნდი-შალკე | 1,7 | 1,9 |
| 16.00 | 2327 | ლიდსი-მანჩესტერი | 1,6 | 2,0 |
| 19.00 | 2328 | ბოლტონი-ლივერპული | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2329 | ჩარლტონი-არსენალი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2330 | ჩელსი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2331 | ევერტონი-მიდლსბრო | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2332 | სანდერლენდი-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2333 | ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2334 | ბოლონია-რომა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2335 | ინტერი-ტორინო | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2336 | კომო-ემპოლი | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2337 | მოდენა-მილანი | 1,9 | 1,7 |
| 00.30 | 2338 | ბილბაო-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |
| 23.30 | 2350 | ოსასუნა-დეპორტივო | 1,85 | 1,75 |
| 00.30 | 2351 | ვალენსია-უელვა | 1,95 | 1,65 |
| 22.00 | 2352 | მალაგა-რაიო | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 2353 | ბეტისი-რეალი | 1,8 | 1,8 |
| | | 15 სექტემბერი | | |
| 20.30 | 2339 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| 20.30 | 2340 | ბოხუმი-ჰანზა | 1,6 | 2,0 |
| 18.00 | 2341 | სიტი-ბლეკბერნი | 1,7 | 1,9 |
| 20.05 | 2342 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2343 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2344 | ლაციო-კიევო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2345 | უდინეზე-პარმა | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2346 | პერუჯა-რეჯინა | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2347 | ბრეშა-პიაჩენცა | 1,75 | 1,85 |
| 22.00 | 2348 | სელტა-მალიორკა | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 2349 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2354 | ალავესი-რასინგი | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2355 | ვალიადოლიდი-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2356 | ატლეტიკო-სევილია | 1,7 | 1,9 |
| | | 16 სექტემბერი | | |
| 24.00 | 2357 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 14 სექტემბერი | | |
| 18.30 | 2420 | კოტბუსი-ვერდერი | 1,85 | 1,95 |
| 18.30 | 2421 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 3,0 | 1,4 |
| 18.30 | 2422 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 1,7 | 2,2 |
| 18.30 | 2423 | არმინია-ჰერტა | 1,9 | 1,9 |
| 18.30 | 2424 | მიონხენგლადბახი-შტუტგარტი | 1,7 | 2,2 |
| 18.30 | 2425 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1,2 | 4,0 |
| 18.30 | 2426 | დორტმუნდი-შალკე | 1,65 | 2,3 |
| 16.00 | 2427 | ლიდსი-მანჩესტერი | 2,0 | 1,8 |
| 19.00 | 2428 | ბოლტონი-ლივერპული | 2,6 | 1,5 |
| 19.00 | 2429 | ჩარლტონი-არსენალი | 2,6 | 1,5 |
| 19.00 | 2430 | ჩელსი-ნიუკასლი | 1,7 | 2,2 |
| 19.00 | 2431 | ევერტონი-მიდლსბრო | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 2432 | სანდერლენდი-ფულემი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 2433 | ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი | 1,75 | 2,1 |
| 18.00 | 2434 | ბოლონია-რომა | 2,0 | 1,8 |
| 18.00 | 2435 | ინტერი-ტორინო | 1,2 | 4,0 |
| 21.00 | 2436 | კომო-ემპოლი | 1,7 | 2,2 |
| 23.30 | 2437 | მოდენა-მილანი | 3,0 | 1,4 |
| 00.30 | 2438 | ბილბაო-ბარსელონა | 2,1 | 1,75 |
| 23.30 | 2450 | ოსასუნა-დეპორტივო | 2,2 | 1,7 |
| 00.30 | 2451 | ვალენსია-უელვა | 1,2 | 4,0 |
| 22.00 | 2452 | მალაგა-რაიო | 1,45 | 2,8 |
| 00.30 | 2453 | ბეტისი-რეალი | 2,2 | 1,7 |
| | | 15 სექტემბერი | | |
| 20.30 | 2439 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 2,2 |
| 20.30 | 2440 | ბოხუმი-ჰანზა | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 2441 | სიტი-ბლეკბერნი | 1,75 | 2,1 |
| 20.05 | 2442 | ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 1,45 | 2,8 |
| 18.00 | 2443 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,2 | 4,0 |
| 18.00 | 2444 | ლაციო-კიევო | 1,45 | 2,8 |
| 18.00 | 2445 | უდინეზე-პარმა | 1,8 | 2,0 |
| 21.00 | 2446 | პერუჯა-რეჯინა | 1,6 | 2,4 |
| 23.30 | 2447 | ბრეშა-პიაჩენცა | 1,7 | 2,2 |
| 22.00 | 2448 | სელტა-მალიორკა | 1,45 | 2,8 |
| 21.00 | 2449 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1,65 | 2,3 |
| 21.00 | 2454 | ალავესი-რასინგი | 1,45 | 2,8 |
| 23.00 | 2455 | ვალიადოლიდი-ვილიარეალი | 1,7 | 2,2 |
| 23.30 | 2456 | ატლეტიკო-სევილია | 1,5 | 2,6 |
| | | 16 სექტემბერი | | |
| 24.00 | 2457 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1,9 | 1,9 |

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები
ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48, მელიქიშვილის ქ. №15
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



პარადორნ შრიჩაფანი



ევგენი კაფელნიკოვი

REUTERS

# პარდონ, პარადორნ

**ბრაზილიის ღია პირველობა**
სალვადორი. ბაია. ჰარდი

**ვაჟები**
საპრიზო 571 000 $

**მეორე წრე**

**გუსტავო კუერტენი (6, ბრაზილია)** — მაშიკა ვაშინგტონი (აშშ) 6:0, 7:5; **რამონ დელგადო (პარაგვაი)** — მარიანო საბალეტა (4, არგენტინა) 6:2, 7:5; **ანდრე სა (8, ბრაზილია)** — ჯორჯ ბასტლი (შვეიცარია) 6:1, 7:5; **გასტონ ეტლისი (არგენტინა)** — ფერნანდუ მელიგენი (9, ბრაზილია) 6:1, 7:6 (7:3)

**ქალები**
საპრიზო 650 000 $

**მეოთხედფინალი**

**ელენა დოკიჩი (1, იუგოსლავია)** — ამანდა კუცერი (სამხრეთ აფრიკა) 6:2, 5:7, 6:4; **მონიკა სელეში (2, იუგოსლავია)** — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:0, 6:4; **ანასტასია მისკინა (3, რუსეთი)** — მაია მატევჟიჩი (სლოვენია) 7:5, 6:1; **ელინე დანილიდუ (8, საბერძნეთი)** — პატი შნიდერი (4, შვეიცარია) 2:6, 6:2, 6:4

სამგზის მეროლანგაროსე ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი, რომელმაც ადრესეზონში ბარძაყის ოპერაცია გადაიტანა და სასურველ ფორმას ეს-ესაა იბრუნებს, მშობლიურ სანოგნეთში წლის პირველი, ხოლო კარიერის მე-17 ტიტულის მოხვეჭას ცდილობს.

შევახსენებთ, რომ სადასტაქრო კიდურმა გუგა შარშან ამ დროს შეაწუხა და ამიტომაცაა, რაგინდარა ქეციან ფინალში იგი იმწლევანდელი ცინცინატური ტურნირის შემდეგ აღარ მოხვედრილა.

სამეოთხედფინალო საგზური ამჯერად მან ძალზედ ცნობილი გვარის მქონე, თუმცა კი ერთობ უსახელო ამერიკელ მაშიკა ვაშინგტონს გამოსტაცა. მაშიკა მსოფლიოში 475-ე (!) ჩოგანს აჭნევს და პირველ სეტში, რომელიც 22 წუთი გრძელდებოდა დასტურ მისი რეიტინგმდგომარეობის შესაფერად იბურთავა.

მეჩოგნეობის მადლი მას მხოლოდ სეტის მიწურულს დაეტყო, როცა — ალარაფრის დამკარგავი — ადგილობრივთა ჯილას უკანასკნელი განწირულებით ეკვეთა.

ეგ სწორედ მაშინ მოხდა, როცა გუგამ ჯერ საკუთარი გეიმი რომ დათმო, მერე კი რამდენიმე მატჩბურთი რომ გაანიავა.

თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მაინც დახვეწილი მასპინძლის სარგოდ მომთავრდა.

კუერტენი: „მატჩი გადასარევად დავიწყე და ყველაფერი უშეცდომოდ მიმდიოდა. მერე კი ოდნავ მოვდუნდი და სადავეები მივუშვი. ამ მატჩს ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუკი მეოთხედფინალში არგენტინელ გასტონ ეტლისს ვაჯობე, სეზონის პირველ ნახევარფინალში გავალ. ნაოპერაციევს ასე კარგად თავი ჯერ არ მიგრძვნია — გამიხარდება, თუკი რიგიანად ჩათამაშებულ სამკვირეულს ნახევარფინალით მოვაგვირისტებ".

თავად ეტლისმა იმ დღეს შარშანდელ ფინალისტს, გუგას თვისტომ ფერნანდუ მელიგენის აჯობა. მელიგენი ძალზედ უილაჯოდ თამაშობდა და ერთ მომენტში ექიმსაც კი მოუხმო, ეგებ რამე მიშველესო.

ვერ უშველა.

ჰოდა, ნატიფ გუგაბიჭთან ბურთაობის შანსიც ნიჭიერ არგენტინელ მძლეველს დაუთმო, რომელმაც, თუკი საკვალიფიკაციო მატჩებსაც მივათვლით, აშშ-ის ღია პირველობაზე ოთხი, ხოლო იქაურ ტურნირზე უკვე ხუთი გამარჯვება დაიგროვა.

ეტლისი, განსხვავებით ჯიშად მეთიხნარეთა ნაუკანახაზევი სტილისაგან, „მოაწოდე-მიეძალე" სტილით თამაშს არჩევს. მართალია, ეს ჩვენთვის უჩვეულო ყაიდაა, მაგრამ ყველაზე მშვენიერი რამ კი არისო, აი, ასე ამბობდა ნამატჩევს.

რაც შეეხება ქალთა მხარეს, შარშანდელმა ჩემპიონმა მონიკა სელეშმა სანახევარფინალო გზა ჰენრიეტა ნაგიოვას გვემით გაიკაფა. იმარჯვა მთავარგანთესილმა ელენა დოკიჩმაც, ოღონდ ამანდა კუცერის საოტად მას სამსეტიანი ბღლარძუნი დასჭირდა.

**პრეზიდენტის თასი 2002**
ტაშკენტი. უზბეკეთი. ჰარდი
საპრიზო 550 000 $

**ნახევარფინალი**

**ევგენი კაფელნიკოვი (3, რუსეთი)** — პარადორნ შრიჩაფანი (5, ტაილანდი) 6:2, 6:4; **ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი)** — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:3, 6:2

უზბეკეთის გოროზი პრეზიდენტის, ისლამ კარიმოვის სახელობის პრიზზე გამართულ მეოთხედფინალთა შედეგები გუშინვე გაუწყეთ. ამიტომ ანგარიშებს ცალკე აღარ დავაჯგუფებთ — მხოლოდ აქა-იქ მოვიხმობთ იმ ინფორმაციასთან ერთად, რაიც შეხვედრათა გვიან გასრულების გამო ჩვენს წინა მიმოხილვაში სათანადოდ ვერ აისახა.

ეს ინფორმაცია კი უწინარესად ისევ ტაილანდელ პარადორნ შრიჩაფანს შეეხება, რაკიღა ეს სწორედ მისმა გაკადნიერებულმა ჩოგანმა წაპგვარა იქაური „განსხვავებულის" ზედიზედ მესამედ მითვლის შანსი ტურნირის მთავარმეჩოგნე მარატ საფინს — 6:3, 7:6 (7:5).

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, უკანასკნელ 17 შეხვედრაში ნიჭიერმა ტაილანდელმა უკვე მე-15 გამარჯვება მოიპოვა და წლევანდელი სამაგარასაფრო სეზონის ერთ უჩაუქეს მეჩოგნედ გამოიკვეთა.

საერთოდ კი, წლეულს მან ბევრ სახელიან ჩოგბურთელს აჭრა სკალპი და მისგან მოთელილთა შორის ანდრე აგასის (უიმბლდონი) გარდა ტომას იოჰანსონი (ჩენაი), ტომას ენკვისტი (როლან გაროსი), სებასტიან გროჟანი (სიდნეი), სხენგ შალკენი, მარსელო რიოსი (ვაშინგტონი), ნიკოლას ლაპენტი და იუნეს ელ აინაუიც (ლონგ აილენდი) გახლავან.

საფინის გაბუნძურების შემდეგ პარადორნი მეორე, კიდევ უფრო ტიტულოვან რუსს ებუღრავა. უმცროს თვისტომს ევგენი კაფელნიკოვი გამოესარჩლა და მისი ჯავრიც იყარა, მოღლილი ინდოჩინელი ორი გაქნევით — 6:2, 6:4 დაჩოგნა.

ტაილანდელთან გადავების უულება რუსმა ხორვატ ლიუბიჩიჩთან იოლ ორსეტიან მატჩში მოინაგრა 6:3, 6:2. არადა, მათი წინა ოთხი შეხვედრიდან სამი ხორვატის გამარჯვებით დასრულებულიყო.

და კიდევ — ხელტრავმანობით წამურდლული სეზონი მორიგი ტრავმით გაუუარესდა გერმანელ ტომი ჰაასს, რომელიც იქ საფინის მომდევნო რანგის ჩოგანს აქნევდა. ტომის ამჯერად იდაყვი აწუხებდა, თუმცა როგორც თავად ივარაუდა, დამნაშავე ისევ მრავალი თვის განმავლობაში მტკივანი მხარი უნდა იყოს.

გერმანელის იძულებითმა ექსორიამ წლის პირველი ნახევარფინალი მოუტანა ბელარუს ვლადიმირ ვოლჩკოვს, რომელმაც სახელი ორი წლის წინ უიმბლდონის ნახევარფინალში თამაშით გაითქვა. მაშინ ის მსოფლიოში მხოლოდ 237-ე იყო და ტურნირის ბოლო ოთხეულამდე მისაღწევად სედრიკ პიოლინისა და უეინ ფერეირას დამარცხება შეძლო.

**რუმინეთის ღია პირველობა**
ბუქარესტი. თიხა
საპრიზო 381 000 $

**მეორე წრე**

**ხუან ხინერი (ესპანეთი)** — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:3, 6:2; **ანდრეი პაველი (1, რუმინეთი)** — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:2; **ფრანკო სკილარი (არგენტინა)** — ფერნანდო ვისენტე (4, ესპანეთი) 7:6 (8:6), 5:7, 6:1; **ხოსე აკასუსო (არგენტინა)** — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:4, 6:2

ვაგლახ — წარმატებული კოვური ტურნირის შემდეგ პირველსავე წრეში ადგილობრივ ფანთა ფალავნის — ადრიან ვოინეას გამბითურებელმა ირაკლი ლაბაძემ მეორეში ძალზედ უსახელო ესპანელთან, ვინმე ხუან ხინერთან.

ვოინეამოხაკლისებულ რუმინელთა გული კი მათმა მორიგმა ყოჩმა, ანდრეი პაველმა დაამა, ვინაც ესპანელ ალბერტ პორტასს ტურნირის აქამდე შემდგარ შეხვედრათაგან საუკეთესოში აჯობა.

**შანხაის ღია პირველობა**
ჰარდი. საპრიზო 140 ათასი $

**მეორე წრე**

**ანა სმაშნოვა (1, ისრაელი)** — ჩო იუნ-ჯონგი (სამხრეთ კორეა) 6:0, 6:3; **ანა კურნიკოვა (4, რუსეთი)** — ძენ ძი (ჩინეთი) 6:4, 7:6 (7:2)

ამ ტურნირზე ყველას მხოლოდ ერთი რამ, უფრო სწორედ კი, ერთი ვინმე — ანა კურნიკოვა აინტერესებს. მასზე გასაუბრებაც ჩვენც იმიტომ ვარჩიეთ, რათა ამ რუსი სექსმეჩოგნის ფოტოთა დემონსტრირების საშუალება მოგვცემოდა. ეგ მით უფრო, რომ კურნიკოვა როგორღაც უკვე მეორე მატჩის მოგებასაც ახერხებს და, მართალია, ეს ძალიან არადამაჯერებლად გამოსდის, მაგრამ მაინც საშური სახილველი გახლავთ.

**ლევან ძილაურაძე**



ვუელტა 7 - 29 სექტემბერი

# ზეიმი პედლებს ატრიალებს

## დღეს ჩემს ეზოშია, ხვალ თქვენთან მოვა...

**ცოდვა** გამხელილი ჯობს. ესეც არ იყოს, ავტორის სიმპათიები და ანტიპათიები ნაწერში აუცილებლად გაჟონავს, ამიტომ ამთავითვე ვიტყვი, რომ ვუელტაში ჩემი ჯილა ესპანელი ოსკარ სევილიაა, ველომრბოლი, რომელმაც შარშან ტურ დე ფრანსში ასაკის კვალობაზე შესანიშავი შედეგი აჩვენა, ვუელტაზე კი უკანასკნელ ეტაპამდე ლიდერი იყო.

ცალკეული სპორტსმენის ან გუნდის ქომაგები მხოლოდ კარგი შედეგების გამო არ ხდებიან, ზოგჯერ სხვა ფაქტორები უფროა გადამწყვეტი. ისეც ხდება, რომ სპორტსმენს ადრევე შეამჩნევ რაღაც ნაპერწკალს და მერე წლები ხარ იმის მოლოდინში, როდის იქცევა ეს თამასუქი ოსტატობად და საჩემპიონო შედეგებად. იმასთან ერთად განიცდი მარცხს, იმასთან ერთად გიხარია, იმასთან ერთად ატრიალებ პედლებს ციცაბო აღმართებზე და მასავით გადაგდის ხვითქი. ისე განიცდი მის ყოველ წარმატებასა თუ წარუმატებლობას, რომ დროდადრო საშინელ მიკერძოებასაც კი იჩენ. თუმცა, რას იზამ, ასეთია ქომაგობის ინსტიტუტი.

მოკლედ, გუშინ ჩემს ეზოში დღესასწაული იყო — ჩემმა ჯილამ ლიდერის მაისურა ჩაიცვა. ეს ფაქტი ხშირად შესაძლოა ბევრის არაფრის მთქმელი არ იყოს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძალზე ბევრს ნიშნავს, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ზედიზედ ორი მთიანი ეტაპის შემდეგ მოხდა. მსგავსი ეტაპები, კი როგორც მკითხველმა იცის, გადამწყვეტია მრავალდღიან ტურნირებში ასპარეზობისას.

მეექვსე ეტაპზე გრანადადან გამოსულ პელოტონს ბოლოში ორი, 11 და 9-კილომეტრიანი აღმართი ელოდა. განსაკუთრებით მრისხანედ გამოიყურებოდა სიერა დე ლა პანდერა, რომლის დახრილობა 15 პროცენტს შეადგენს. ჩვეულებრივ მოკვდავთა ენაზე ეს ნიშნავს, რომ გზა ყოველ ას მეტრზე 15 მეტრით იწევს მაღლა.

ამ ორი აღმართის მისადგომებთან პელოტონი წამოეწია სტარტზევე გაქცეულ თხუთმეტკაციან ჯგუფს. მთავარი ტაქტიკური თამაშები უკვე მეორე მთის, სიერა დე ლა პანდერას ძირიდანვე დაიწყო. პირველი იერიშზე ბასკი ივერ ფლოხესი გადავიდა. მერე პელოტონს



ოსკარ სევილია

ჯიროს ჩემპიონი ჯილბერტო სიმონი გამოეყო. ცოტა ხნის შემდეგ ძირითადი ჯგუფი დატოვეს ჰერასმა, დი ლუკამ და სევილამ. ხოსება ბელოკი სხვა ლიდერებთან ერთად პელოტონში დარჩა.

ფინიშამდე 7 კილომეტრით ადრე (მკითხველს შევახსენებ, რომ ეს 7 კილომეტრი 13-პროცენტიანი აღმართია) სიმონი დაეწია დაღლილ ბასკს. ამ მომენტისთვის გამოიკვეთა სამი ძირითადი ჯგუფი: სიმონი — ერასი, დი ლუკა, სევილია — ბელოკი, კასერო. მათ შორის შესაბამისად 31 და 14 წამია განსხვავება.

სამი კილომეტრის შემდეგ გადამწყვეტ იერიშს იწყებს გაამერიკელებული ესპანელი, ტურ დე ფრანსის ოთხგზის ჩემპიონის ლენს არმსტრონგის მარჯვენა ხელი რობერტო ერასი. ყველაფრით იგრძნობა, რომ US პოსტალელს ეტაპის მოგება აქვს განზრახული. მალე სიმონის ზურგიც გამოჩნდა და ერასი ეტაპის ლიდერი ხდება. თავის მხრივ სევილიაც დაეწია სიმონის, მაგრამ ლიდერთან გაჯიბრება ან ველარ შეძლო, ანდა არც ჩათვალა საჭიროდ — საერთო ჩათვლაში კელმელი ველომრბოლი ამ წუთებიდან უკვე ვუელტას ლიდერი იყო.

**ირაკლი ბერიაშვილი**

### ტექნიკური შედეგები

**VI ეტაპი გრანადა — სიერა დე ლა პანდერა 153 კმ**

1. რობერტო ერასი (US პოსტალი, ესპანეთი) ---------- 3 სთ 56 წთ 47წმ
2. ჯილბერტო სიმონი („საეკო", იტალია) ---------- +18წმ
3. ოსკარ სევილია („კელმე", ესპანეთი) ---------- +18წმ

**საერთო ჩათვლა**

1. ოსკარ სევილია („კელმე", ესპანეთი) ---------- 20 სთ51 წთ17 წმ
2. ალექსანდრ ვინოკუროვი („ტელეკომი", ყაზახეთი) ---------- +14 წმ
3. რობერტო ერასი (US პოსტალი, ესპანეთი) ---------- +39 წმ
4. აიტორ გონსალესი („კელმე", ესპანეთი) ---------- +41 წმ
5. გარსია კასასი („ბიგმატი", ესპანეთი) ---------- +52 წმ
6. აიმარ ზებელდია („ეუსკალტელი", ესპანეთი) ---------- +57 წმ

**საუკეთესო სპრინტერი**

1. ერიკ ცაბელი („ტელეკომი", გერმანია) ---------- 56 ქულა
2. მარიო ჩიპოლინი („აქვა-საპონე", იტალია) ---------- 50
3. ალესანდრო პეტაკი („ფასო ბარტოლო", იტალია) ---------- 41

**მთის მეფე**

1. მედერიკ კლაინი („კოფიდისი", საფრანგეთი) ---------- 38 ქ
2. გარსია კასასი („ბიგმატი", ესპანეთი) ---------- 33
3. ჯილბერტო სიმონი („საეკო", იტალია) ---------- 32

**გუნდური**

1. ონსე (ესპანეთი) ---------- 62 სთ 38 წთ 31 წმ
2. კელმე (ესპანეთი) ---------- +52 წმ
3. ეუსკალტელი (ესპანეთი) ---------- +1წთ 33 წმ

# წითლების ეპოქა სისხლით დაიწყო

*მეფორმულეთა ჩემპიონატში ყოველწლიურად ორი ტიტული თამაშდება — პირადი და გუნდური. მიხაელ შუმახერმა და ფანტასტიკურმა „ფერარიმ" მიმდინარე სეზონშიც ორივე ფრონტზე არავის დაუთმეს პირველობა და ვადამდე კარგა ხნით ადრე გაინაღდეს აბსოლუტური გამარჯვება. ასე რომ, ხვალ მშობლიურ „მონცაზე" მორიგ რბოლაში „სკუდერიის" ბოლიდები კონსტრუქტორთა თასის უკვე 12-გზის მფლობელთა რანგში გაიჯირითებენ. აღსანიშნავია, რომ „წითლებმა" თავიანთი პირველი გუნდური ტიტული სწორედ ამ ლეგენდარულ იტალიურ ტრასაზე მოიპოვეს 41 წლის წინ*

კონსტრუქტორთა თასი 1958 წელს დაწესდა. 45 სეზონში გამარჯვება მხოლოდ 11-მა საჯინიბომ შეძლო. პირველი ტრიუმფატორი გახდა ინგლისელ ტონი ვენდერვილის „ვენუოლი", რომლის სახელწოდებაც ვენდერვილისა და მისი ფირმა „ტინუოლისგანაა" ნაწარმოები. გუნდის ღირსებას იცავდნენ ბრიტანელები — სტირლინგ მოსი, ტონი ბრუქსი და სტიუარტ ლუის-ევანსი, რომელიც ბოლო ეტაპზე, მაროკოში რბოლისას დაიღუპა. პირად ჩათვლაში ყველას „ფერარით" მოასპარეზე ინგლისელმა მაიკ ჰოთორნმა აჯობა.

„ფერარიმ", სამეფო რბოლების ყველაზე შედეგიანმა გუნდმა, ფორმულის ლეგენდამ, რომელიც პირველივე ჩემპიონატიდანაა სარბიელზე და ერთი სეზონიც არ გაუცდენია, პირველად თასი 1961 წელს დაისაკუთრა, თუმც ეს ისტორიული წარმატება საზეიმოდ არ აღუნიშნავთ. იტალიელებს სიხარული ჩაუშხამა ბოლო ეტაპისას „მონცაზე" მომხდარმა ავტორბოლის ისტორიაში ერთ-ერთმა უსაშინლესმა კატასტროფამ, რომლის მიზეზიც „სკუდერიის" ლიდერი, რომ იტყვიან, ცალი ფეხით უკვე ჩემპიონი ვოლფგანგ ფონ ტრიპსი გახდა. გერმანელი ბარონის მანქანა ბრიტანელ ჯიმ კლარკის „ლოტუსთან" შეჯახების შემდეგ მაყურებლებში შევარდა და მძღოლის გარდა კიდევ 14 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რბოლა მაინც გაგრძელდა, გამარჯვება ტრიპსის თანაგუნდელმა ფილ ჰილმა მოიპოვა და პირველი ამერიკელი ჩემპიონიც შეიქნა.

ტრაგიკული გამოდგა „კომენდატორე" ენცო ფერარის საჯინიბოსთვის 1982 წლის ტრიუმფიც. სისხლისფერთა ფრანგ-კანადელმა სოლისტებმა დიდიე პირონიმ და ჟილ ვილნევმა თავიდანვე ხელთ იგდეს ლიდერობა, მაგრამ მალე, ბელგიური ეტაპის წინა ვარჯიშისას, ავარიამ ვილნევი იმსხვერპლა, ხოლო სამი თვის შემდეგ გერმანიაში „ჰოკენჰაიმრინგზე" ისე დაიმტვრა ჩემპიონატის ლიდერი პირონი, რომ საერთოდ ჩამოშორდა რბოლებს. ასეთი კატასტროფების მიუხედავად, ის სეზონი მაინც „ფერარის" გამარჯვებით დასრულდა, სათადარიგოებმა — პატრიკ ტამბეიმ და მარიო ანდრეტიმ ღირსეულად გააგრძელეს საქმე და კონსტრუქტორთა თასს მარანელოში დაუდეს ბინა.

გამორჩეულად შთამბეჭდავია სრულიად იტალიის ეროვნული სიამაყის ბოლოდროინდელი შედეგიანობა — „ფერარიმ" წლეულს ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა გუნდური პირველობა, რითაც „მაკლარენის" 11 წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორა.

წითელი ბოლიდებით დღემდე 90 პილოტს ურბოლია, მათგან ყველაზე წარმატებული, ცხადია, მიხაელ შუმახერია, რომელმაც „სკუდერიის" სახელით სამჯერ მოიხვეჭა ტიტული, 107 რბოლაში სარეკორდო 44 დიდი პრიზი მოიგო და 620 ქულა დააგროვა. მის ღვთანდელ მეწყვილეს, ბრაზილიელ რუბენს ბარიკელოს ბევრად მოკრძალებული შედეგი აქვს — სულ რაღაც სამი მოგება და 169 ქულა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ გუნდურ ჩათვლაში მართალია, ორივე პილოტის ქულები შედის, მაგრამ მიხაელი თავისი სუპერმიღწევებით ბარიკელოს „დახმარების" გარეშეც მოუპოვებდა ბოლო ორ წელს „ფერარის" წარმატებას.

ბოლოს ორიოდე სიტყვით იმაზეც, რომ სარეკორდო, თორმეტგზის კონსტრუქტორთა თასის დასაკუთრების მიუხედავად, „სკუდერია-ფერარი-მარლბორო" საშუალო შედეგიანობით სადღეისოდ მაინც ჩამორჩება ერთ დროს საფორმულო მწვერვალზე მდგომ ფრენკ უილიამსის საჯინიბოს.

**ზია ახალაძე**

## კონსტრუქტორთა თასის მფლობელები

| | გუნდი | ქულა | მოგება | |
|---|---|---|---|---|
| 1958 | ვენუოლი | 48 | 6 | 2 ფერარი-40 |
| 1959 | კუპერი | 40 | 5 | 2 ფერარი-32 |
| 1960 | კუპერი | 48 | 6 | 3 ფერარი-24 |
| 1961 | ფერარი | 40 | 5 | (ფილ ჰილი, ვოლფგანგ ფონ ტრიპსი) |
| 1962 | BRM | 42 | 4 | 5 ფერარი-18 |
| 1963 | ლოტუსი | 54 | 7 | 4 ფერარი-26 |
| 1964 | ფერარი | 45 | 3 | (ჯონ სარტისი, ლორენცო ბანდინი) |
| 1965 | ლოტუსი | 54 | 6 | 4 ფერარი-26 |
| 1966 | ბრებემი | 42 | 4 | 2 ფერარი-31 |
| 1967 | ბრებემი | 63 | 4 | 4 ფერარი-20 |
| 1968 | ლოტუსი | 62 | 5 | 4 ფერარი-32 |
| 1969 | მატრა | 66 | 6 | 5 ფერარი-7 |
| 1970 | ლოტუსი | 59 | 6 | 2 ფერარი-55 |
| 1971 | ტირელი | 73 | 7 | 4 ფერარი-33 |
| 1972 | ლოტუსი | 61 | 5 | 4 ფერარი-33 |
| 1973 | ლოტუსი | 92 | 7 | 6 ფერარი-12 |
| 1974 | მაკლარენი | 73 | 4 | 2 ფერარი-65 |
| 1975 | ფერარი | 72,5 | 6 | (ნიკი ლაუდა, კლეი რეგაცონი) |
| 1976 | ფერარი | 83 | 6 | (ნიკი ლაუდა, კლეი რეგაცონი) |
| 1977 | ფერარი | 95 | 4 | (ნიკი ლაუდა, კარლოს რუტმანი) |
| 1978 | ლოტუსი | 86 | 8 | 2 ფერარი-58 |
| 1979 | ფერარი | 113 | 6 | (ჯოდი შექტერი, ჟილ ვილნევი) |
| 1980 | უილიამსი | 120 | 6 | 10 ფერარი-8 |
| 1981 | უილიამსი | 95 | 4 | 5 ფერარი-34 |
| 1982 | ფერარი | 74 | 3 | (პირონი, ვილნევი, ანდრეტი, ტამბე) |
| 1983 | ფერარი | 89 | 4 | (პატრიკ ტამბე, რენე არნუ) |
| 1984 | მაკლარენი | 143,5 | 12 | 2 ფერარი-57,5 |
| 1985 | მაკლარენი | 90 | 6 | 2 ფერარი-82 |
| 1986 | უილიამსი | 141 | 9 | 4 ფერარი-37 |
| 1987 | უილიამსი | 137 | 9 | 4 ფერარი-53 |
| 1988 | მაკლარენი | 199 | 15 | 2 ფერარი-65 |
| 1989 | მაკლარენი | 141 | 11 | 3 ფერარი-59 |
| 1990 | მაკლარენი | 121 | 6 | 2 ფერარი-110 |
| 1991 | მაკლარენი | 139 | 8 | 3 ფერარი-55,5 |
| 1992 | უილიამსი | 164 | 10 | 4 ფერარი-21 |
| 1993 | უილიამსი | 168 | 10 | 4 ფერარი-28 |
| 1994 | უილიამსი | 118 | 7 | 3 ფერარი-71 |
| 1995 | ბენეტონი | 137 | 11 | 3 ფერარი-73 |
| 1996 | უილიამსი | 175 | 12 | 2 ფერარი-70 |
| 1997 | უილიამსი | 123 | 8 | 2 ფერარი-102 |
| 1998 | მაკლარენი | 156 | 10 | 2 ფერარი-133 |
| 1999 | ფერარი | 128 | 6 | (ედი ირვაინი, მიხაელ შუმახერი, მიკა სალო) |
| 2000 | ფერარი | 170 | 10 | (მიხაელ შუმახერი, რუბენს ბარიკელო) |
| 2001 | ფერარი | 179 | 9 | (მიხაელ შუმახერი, რუბენს ბარიკელო) |
| 2002 | ფერარი | 173 | 12 | (მიხაელ შუმახერი, რუბენს ბარიკელო) |

| | სეზონი | ქ/თასი | % |
|---|---|---|---|
| ფერარი | 45 | 12 | 26,7 |
| უილიამსი | 31 | 9 | 29,0 |
| მაკლარენი | 37 | 8 | 21,6 |
| ლოტუსი | 35 | 7 | 20,0 |
| კუპერი | 20 | 2 | 10,0 |
| ბრებემი | 30 | 2 | 6,7 |
| ვენუოლი | 7 | 1 | 14,3 |
| მატრა | 7 | 1 | 14,3 |
| ბენეტონი | 17 | 1 | 5,9 |
| BRM | 27 | 1 | 3,7 |
| ტირელი | 29 | 1 | 3,5 |



„სკუდერია - ფერარი" მეთორმეტე ტიტულს ზეიმობს

# F1

მეთხუთმეტე ეტაპი **იტალიის დიდი პრიზი**

## აუტოდრომო ნაციონალე

*მონცა, 15 სექტემბერი*




**ტრასის სიგრძე** 5.783 კმ

**რბოლის დისტანცია** 53 წრე — 306.234 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 მონტოია (უილიამსი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 რ.შუმახერი (უილიამსი); 4 მ.შუმახერი (ფერარი); 5 დე ლა როსა (იაგუარი); 6 ვილნევი (BAR)

**წრის რეკორდი:** 2001 — რ. შუმახერი (უილიამსი) 1:25.073 (245,1კმ/სთ)




ხუან პაბლო მონტოიას ხვალ თავისი გამარჯვება ეჭვება

**მილანიდან** ოციოდე კილომეტრის დაშორებით, სამეფო პარკის ტერიტორიაზე აგებულ „აუტოდრომო ნაციონალეს" რა ხანია, საფორმულო მექად მოიხსენიებენ. „მონცა" 80 წლის წინ აშენდა წარმოუდგენლად მოკლე ვადაში, ოთხიოდ თვეში, რისთვისაც 3500 მუშას დღეღამის გასწორება მოუხდა.

თავდაპირველად ათკილომეტრიანი ტრეკი, არაერთი გადაკეთება-დამოკლების მიუხედავად, დღემდე უსწრაფეს საფორმულო სარბიელად რჩება. ჯერაც დაუძლეველია პიტერ გეტინის მიერ 1971 წელს დამყარებული აბსოლუტური რეკორდი: ინგლისელი ჟოკეის ვაჟმა BRM-ით 241,620 კმ/სთ საშუალო სიჩქარით ირბოლა და თავის ხანმოკლე კარიერაში ერთადერთი დიდი პრიზიც მოიპოვა. კომპიუტერულ გამოკვლევებს თუ დავუჯერებთ, მაშინდელ უმარტივესი პროფილის „მონცაზე" თანამედროვე ბოლიდები 300 კმ/სთ საშუალო სიჩქარით იქროლებდნენ.

გრძელ სწორ მონაკვეთებიან ტრასაზე უპირატესობა უძლიერესი მანქანების მხარესაა — ჯაგლაგებს პოდიუმამდე ვინ მიუშვებს. ამდენად, ზღვრულ სიჩქარესთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუხრუჭების საიმედოობასაც. წინა ორი ეტაპის იოლად მოგების შემდეგ, მიხაელ შუმახერი თვლის, რომ „ფერარის" ამჯერად არ ექნება იმხელა უპირატესობა, როგორც უნგრეთსა და ბელგიაში: „მეეჭვება, ამჯერადაც დუბლი გავახერხოთ, რადგან „უილიამსიც" და „მაკლარენიც" უკეთესად მოემზადნენ და დარწმუნებული ვარ, უფრო ძლიერად იასპარეზებენ." უილიამსელი ხუან პაბლო მონტოია კი საკუთარ შანსს მოკრძალებულად აფასებს: „ჩემი ერთადერთი გამარჯვება მართალია, სწორედ „მონცაზე" მოვიპოვე, მაგრამ შარშანდელი ბოლიდი „ფერარის" უფრო მეტად უძალიანდებოდა, ვიდრე ახლანდელი. ასე რომ, მესამე ადგილიც ჩემთვის მოგების ტოლფასი იქნება."

გუშინ პირველ ვარჯიშზე წრე ყველაზე სწრაფად მიხაელმა გაიქროლა, ხუანი 0,8 წამით ჩამორჩა. მეორე ცდაზეც ჩემპიონი იყო წინ, შემდეგ ბარიკელო („ფერარი"), რაიკონენი („მაკლარენი"), ირვაინი („იაგუარი"), მონტოია...

## წლევანდელთა იტალიური მონაგარი

| | | ადგილი ჩასათვლელ ექვსეულში | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რბოლა | 91 | 92 | 93 | 94 | 95 | 96 | 97 | 98 | 99 | 00 | 01 | ქულა |
| მ. შუმახერი | 9 | V | III | გ | | გ | I | VI | I | | I | IV | 40 |
| ფრენცენი | 8 | | | | გ | III | გ | III | - | I | გ | გ | 18 |
| რ. შუმახერი | 5 | | | | | | | გ | III | II | III | III | 18 |
| ბარიკელო | 9 | | | გ | IV | გ | V | - | - | IV | გ | II | 14 |
| კულჰარდი | 8 | | | | VI | გ | გ | I | გ | V | გ | გ | 13 |
| მონტოია | 1 | | | | | | | | | | | I | 10 |
| ირვაინი | 8 | | | | გ | გ | გ | - | II | VI | გ | გ | 7 |
| სალო | 6 | | | | | V | გ | გ | გ | III | - | | 6 |
| ფიზიკელა | 5 | | | | | | | IV | - | გ | - | - | 3 |
| ვილნევი | 6 | | | | | | - | V | გ | - | გ | VI | 3 |
| დე ლა როსა | 3 | | | | | | | | | გ | გ | V | 2 |
| პანი | 6 | | | | - | გ | გ | | გ | - | | - | 0 |
| ტრული | 5 | | | | | | | - | - | გ | გ | გ | 0 |
| ჰაიდფელდი | 2 | | | | | | | | | | გ | - | 0 |
| ბატონი | 2 | | | | | | | | | | გ | გ | 0 |
| რაიკონენი | 1 | | | | | | | | | | | - | 0 |
| ბერნოლდი | 1 | | | | | | | | | | | გ | 0 |
| იონგი | 1 | | | | | | | | | | | გ | 0 |

შენიშვნა: გ — რბოლას გამოეთიშა;
ცხრილში არ არიან დებიუტანტები — სატო, მასა, მაკნიში, ვებერი


REUTERS

## ახალი

ცურვაში ყველაფრის ჩემპიონი იან ტორპი სიდნეიში, მენლი ბიჩზე მოაბიჯებს კოხტა ქალთან ერთად. ტრეისი მენზიესი ტორპის ახალი მწვრთნელია. მოცურავემ ახლახან გაწყვიტა პარტნიორობა დუგ ფროსტთან, რომელიც მას ათ წელიწადზე მეტხანს წვრთნიდა.



REUTERS

## დუმილის წამი

წუთიერი დუმილი „იანკი სტედიუმზე": „იანკებისა" და „ბალტიმორ ორიოლზის" შეხვედრა, ისევე როგორც ყველაფერი ამერიკაში, ერთი წუთით შეწყდა. ყველა გაირინდა, რათა პატივი მიეგოთ ზუსტად ერთი წლის წინათ დაღუპულთა ხსოვნისთვის.

## ხერესის იპოდრომზე

ხერეს დე ლა ფრონტერაში, სამხრეთ ესპანეთში მსოფლიო საცხენოსნო თამაშები გახურდა. ამ ფოტოზე დანიელ ცხენზე ტანმოვარჯიშეთა გამოსვლაა აღბეჭდილი. თამაშები 22 სექტემბრამდე გასტანს. ცხენზე ტანმოვარჯიშეთა ფინალი კი 15 სექტემბერს გაიმართება


REUTERS

## თამაში 11 სექტემბრისთვის

მილანის „არენას" სტადიონზე საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი გაიმართა 11 სექტემბრის მსხვერპლთა ფონდისთვის. ერთ მხარეს მეფორმულეთა ნაკრებს მიხაელ შუმახერი კაპიტნობდა, მეორე მხარეს კი მაღალი მოდის ვარსკვლავთა გუნდი წარმოადგენდა. იქვე იყო სანტო ვერსაჩე, გარდაცვლილ ჯანი ვერსაჩეს ძმა, რმელიც ახლა ხელმძღვანელობს ვერსაჩეთა მოდების სახლს.





REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიზრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge